საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცეკვაა, ფცეფილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკვერტისიბაგზე ესაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 2-4 სექტემბერი. 2022 წ. №133-134 (9471-9472) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

ბრძოლა წესების გარეშე

3

მოსკოვის კრემლის წარმომადგენელი ვაშინგტონის კრემლის წარმომადგენლისგან განსხვავებით დემოკრატობანას არ გვეთამაშებოდა და არასდროს არანაირად არ ცდილობდა, დავერწმუნებინეთ, რომ საქართველოს შიდა საქმეებში ხელების უხეში ფათური ჩვენთვისვე იყო კარგი.

ვინ კითხავს ექსპერტს, თუნდაც ძალიან ავტორიტეტულს, საქართველოს ხელისუფლება კანონში ცვლილებების რომელ წესს გამოიყენებს?

სენსაციური გაზვიადება თუ სინამდვილე?!

3

მაიკო ელოშვილი: – რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ!

კელი დეგნანი ისევ პრინციპული და შეუვალია!

საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ვენეციის კომისიის დასკვნას ფარული მიყურადების კანონთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან საუბრისას გამოეხმაურა.

კელი დეგნანის თქმით, **ვენეციის კომისიის მოსაზრება მიყურადების კანონთან დაკავშირებით იყო პირდაპირი, მტკიცე და მკაფიო, რომ მნიშვნელოვანია, მიდგომა იყოს ინკლუზიური.**

მისივე განცხადებით, ვენეციის კომისიის მოსაზრება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ექსპერტების შეფასებას იმასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა თუ არა პარლამენტის მიერ ივნისში მიღებული შესწორებები საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

„პრეზიდენტის შეფასება აკეთებს დასკვნას, რომ ამ შესწორებებისთვის არ არის წარმოდგენილი საკმარისი განმარტება და დასაბუთება. ამ შესწორებებით საქართველოს მოქალაქეთა მიყურადების შესაძლებლობები იზრდება, აგრეთვე, იზრდება ხანგრძლივობა მთავრობის მიერ მოქალაქეების მოსმენისა, აგრეთვე გახანგრძლივდა დრო, ვიდრე მთავრობა შეატყობინებს პირს მისი საუბრების საიდუმლოდ მოსმენის შესახებ. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა გასული წლის სექტემბერში გახმაურდა მასობრივი უკანონო მოსმენებისა და მიყურადების შესახებ, რომელიც ხორციელდებოდა ეკლესიის მაღალი იერარქების, დიპლომატების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიმართ. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრება მკაფიოდ და მტკიცედ განაცხადებს, რომ შესწორებების მიზეზი იყოს დასაბუთებული, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა. ეს არის ამ ანგარიშის დასკვნა. ამდენად, მნიშვნელოვანია ინკლუზიური საპარლამენტო პროცესი, რაც გულისხმობს უკეთესი კანონის შემუშავებაში ყველას ჩართულობას. ვენეციის კომისია არ აკრიტიკებს საქართველოს, იგი გამოხატავს მოსაზრებებს და აძლევს საქართველოს შესაძლებლობას, რომ გააუმჯობესოს კანონმდებლობა და უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვა მოქალაქეების უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს პერსონალური მონაცემებისა და მობილური ტელეფონით საუბრების დაცვას“, – განაცხადა დეგნანმა.

თბილისობის დღესასწაული პირველ-ორ ოქტომბერს გაიმართება

თბილისობის დღესასწაული პირველ-ორ ოქტომბერს გაიმართება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, თბილისობას ტრადიციულად უმასპინძლებს რიყე და ლეღვთახევი, წელს ღონისძიებები ასევე გაიმართება ორბელიანისა და გუდიაშვილის მოედნებზე.

„მინდა, შევეხო თბილისობას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია და უხდება ჩვენს ქალაქს. ეს ჩვენი მრავალწლიანი ტრადიციაა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქალაქის ცხოვრების ნაწილიც არის. წელს თბილისობა გაიმართება, იყო გარკვეული შეფერხება პანდემიის გამო, თუმცა წელს გვაქვს შესაძლებლობა პირველ-ორ ოქტომბერს ჩავატაროთ თბილისობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იქნება მასშტაბური ღონისძიებები. რაც შეეხება თბილისობის ხარჯებთან დაკავშირებით რიგი პოლიტიკოსებისა და მათი საკუთარი სატელიტი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ განცხადებებსა და ინფორმაციას, მათზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას სჭირდება თანხები და ასევე ყველასთვის გასაგებია, რომ როდესაც საუბარია კონცერტებზე, შემოქმედებით ღონისძიებაზე, აქ შეუძლებელია ტენდერის გამოცხადება.

ეს აჟიოტაჟი „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზიების მხრიდან ყოველწლიური თანმდევი პროცესია საახალწლო ღონისძიებების, თბილისობის, იგივე გვაქვს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. ჩვეულებრივად მიზანმიმართული სიცრუის პროპაგანდა მიმდინარეობს ყოველთვის, როდესაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, აუცილებლად უნდა მოატყუონ, ეცადონ, მოატყუონ საზოგადოება, რომ თბილისის მერიას მილების ჩადება დაავიწყდა, თითქოს ჭის თავების წამოწევა დაგვავიწყდა და ხელმეორედ დავიწყეთ კონკრეტული ქუჩების გადათხრა და ა.შ. საზოგადოებამ კარგად იცის მათი ხელწერა. ეს ადამიანები ყოველდღიურად სიცრუის პროპაგანდით არიან დაკავებული. სიძულვილის ენა მათი ყოველდღიური თემა გახდა, რაც ძალიან მძიმეა, ძალიან ცუდია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ქვეყნის განვითარების და რეფორმების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში ქვეყნის განვითარების და რეფორმების უწყებათაშორისი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, – ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს. უწყების ცნობით, მთავრობის მეთაურმა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი განიხილა, რომელიც 2030 წლისთვის საქართველოს განვითარების ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს ასახავს.

დოკუმენტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დგრადი, გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვისათვის, მისი ხედვა კი ორიენტირებულია თითოეული მოქალაქის ცხოვრების ხარისხის გაზრდასა და კეთილდღეობაზე. სხდომის დასასრულს, საბჭოს წევრებმა ქვეყნის ეროვნული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი მოიწონეს, რომელიც დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას გადაეგზავნება.

გუშინ თბილისი-არენაზე ევრობასკეტის პირველი მატჩები გაიმართა.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განცხადებების მიღებას იწყებს

სტუდენტებო, თქვენ დაფინანსდებით!

თბილისის მერია სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში პირველი სექტემბრიდან სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, განცხადებების მიღებას იწყებს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან:

სოციალურად დაუცველი სტუდენტები: საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამონაწერში ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მითითებულია ქალაქი თბილისი.

მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები: საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი და მეტი შვილი).

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები: საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი.

დაფინანსების ოდენობა სემესტრულად შეადგენს არაუმეტეს 1 125 ლარს და დამოკიდებულია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში მიღებული აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკულ ქულაზე:

90-ზე მეტი – 100 ქულის ჩათვლით – სემესტრული თანხის არაუმეტეს 100% (1 125 ლარი) სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 150 000-ის ტოლი ან ნაკლები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;

70-ზე მეტი – 90 ქულის ჩათვლით – სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, (1 125 ლარი) სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 70 000-ს და მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;

ხოლო სემესტრული თანხის არაუმეტეს 70% (787.5 ლარი) სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ის ტოლი ან ნაკლები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის;

ტოლია ან ნაკლებია 70 ქულაზე – სემესტრული თანხის არაუმეტეს 70% (787.5 ლარი) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტისათვის, ხოლო სემესტრული თანხის არაუმეტეს 50% (562.5 ლარი) სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ტოლია ან ნაკლებია 150 000-ის, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისთვის და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის;

დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა თბილისის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადი განცხადება; საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი; სოციალურად დაუცველი სტუდენტის შემთხვევაში – ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის შემთხვევაში – სტატუსის დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან; ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის და წლიური გადასახადის შესახებ; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ამონაწერი, წინა სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ (გარდა პირველი სემესტრის სტუდენტებისა); იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დოკუმენტი, დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები/ანგარიშფაქტურა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის შემთხვევაში – თბილისში რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა (განცხადების შემოტანის მომენტისთვის სტუდენტს არანაკლებ ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უნდა უფიქსირდებოდეს რეგისტრაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე).

პროგრამის ფარგლებში პირველი სემესტრის სტუდენტები დაფინანსდებიან სემესტრული თანხის (1125 ლარი) 50%-ით.

განცხადების მიღება დაიწყება 2022 წლის პირველი სექტემბრიდან და გაგრძელდება 30 ნოემბრის ჩათვლით (მის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარია, შარტავას ქ. №7).

სტუდენტებს განცხადებების შემოტანა ასევე შეუძლიათ თბილისის რაიონული გამგეობების სერვის ცენტრებში ან ელექტრონულ პლატფორმაზე: ms.gov.ge (ელექტრონული ხელმოწერისთვის აუცილებელია სპეციალური მოწყობილობის არსებობის შემთხვევაში).

დედაქალაქის მერია 30 ელექტრო-დამტენს თბილისში დაამონტაჟებს, ხოლო 20-ს დასავლეთ საქართველოს მიმართულებით

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მერია კერძო სექტორთან ერთად, დამატებით 50 ელექტროდამტენს დაამონტაჟებს.

როგორც კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, 30 დამტენი დედაქალაქის სხვადასხვა მისამართზე დამონტაჟდება, ხოლო 20 დამტენი დასავლეთ საქართველოს მიმართულებით.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყანაში ელექტრომობილები წავახალისოთ. რაც უფრო მეტი ელექტრომობილი იქნება, ეს მისასალმებელია. შესაბამისად, ჩვენ ამ პროცესების ხელშემწყობი ვართ და მიღებული გვაქვს გარკვეული გადაწყვეტილებები. არის გარკვეული შეღავათები, თუნდაც ის, რომ ელექტრომობილის მფლობელები პარკინგის საფასურს არ იხდიან. ასევე, A კატეგორიის ტაქსის მძღოლები, რომლებსაც ელექტრომობილები ჰყავთ, ლიცენზიის გადასახადს არ იხდიან. ამასთან, მთელი ქალაქის მასშტაბით, ჩვენ უკვე დავაყენეთ ელექტროდამტენები – დაახლოებით 60 ერთეული. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ელექტრომობილების დატენვა უფასოა. კერძო სექტორთან ერთად მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და დამატებით, 50 ელექტროდამტენის მონტაჟის პროექტი განხორციელდება. აქედან 30 დამტენი დამონტაჟდება დედაქალაქის სხვადასხვა მისამართზე, ხოლო 20 დამტენი მოეწყობა დასავლეთის მიმართულებით, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე. იცით, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია ელექტრომობილებისთვის დამტენების ხელმისაწვდომობა არამხოლოდ ქალაქში, ქალაქგარეთაც, რათა ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში, სატენი მოწყობილობით სარგებლობა ხელმისაწვდომი და კომფორტული იყოს“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძე „ტვ პირველის“ და ჟურნალისტ მაია მამულაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს

კახა კალაძის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 2022 წლის 5 ივნისს „ტვ პირველის“ ეთერში მაია მამულაშვილმა კალაძე კორუფციაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულა, რის გამოც კალაძე მამულაშვილს სასამართლოში უჩივის. ადვოკატის თქმით, თბილისის მერი მოპასუხე პირებისგან მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 000 ლარს ითხოვს.

დიმიტრი გაბუნიამ ასევე აღნიშნა, რომ კახა კალაძე არც ერთ ცრუ ბრალდებას რეაგირების გარეშე არ დატოვებს.

სააკაშვილს კომპლექსური ექსპერტიზა ჩაუტარდება

ჩვენ ვაპირებთ, უახლოეს დღეებში მივმართოთ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრს, რომ ჩაუტარდეს სააკაშვილს კომპლექსური ექსპერტიზა, გვინდა მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, რომ არ დარჩეს არც ერთი კითხვის ნიშანი.

მინისტრის თქმით, მიხეილ სააკაშვილს პენიტენციურ განყოფილებაში შესახლების დღიდან არაერთხელ გაეწია სამედიცინო დახმარება, მათ შორის გადაყვანილი იყო კლინიკაში. ბრეგაძის განცხადებით, სახელმწიფოს სააკაშვილისთვის არაფერი დაუკლია.

„ეს ადამიანი რამდენიმე თვეა, იმყოფება კლინიკა „ვივამედში“ და მის ჯანმრთლობის მდგომარეობაზე მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალი. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს და გვინდა მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იქნება იმისთვის, რომ არ დარჩეს არც ერთი კითხვის ნიშანი ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარშემო. სააკაშვილს პატიმრობის პერიოდში არაერთხელ გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება. როდესაც მას სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, მას ეს დახმარება გაეწია. როდესაც ვინმე საუბრობს, რომ სააკაშვილის მდგომარეობა გაუმჯობესდა ან გაუარესდა, ამ ყველაფერზე უნდა ისაუბრონ მედიკოსებმა. სახელმწიფომ მისი შემოსახლების დღიდან გააკეთა ყველაფერი, რომ დაცული იყოს მისი ჯანმრთელობის უფლება. მე არ ვარ ექიმი, მე ვერ გეტყვით ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის გაუმჯობესებული თუ გაუარესებული. ამაზე უნდა ისაუბრონ მედიკოსებმა. როდესაც ადამიანს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მას უნდა უმკურნალოს ექიმმა. სახელმწიფომ ყოველთვის მაქსიმუმი გააკეთა. რაც შეეხება ექსპერტიზას, ეს გვინდა ჩატარდეს იმისთვის, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი, ყოველმხრივი ინფორმაცია ამ ადამიანის ჯანმრთელობაზე. სახელმწიფოს ამ ადამიანისთვის არაფერი დაუკლია, პირიქით, აკეთებს ყველაფერს“, – დასძინა რატი ბრეგაძემ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე აუქციონი გამოცხადდა

თბილისში, კოსტავას 68-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი:01.14.14.009.052), საწყისი ფასით 65 000 000 ლარი, აუქციონზე სარეალიზაციოდ კიდევ ერთხელ იქნა გამოტანილი.

გარიგების შეთავაზება სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით ხდება, ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ მისამართზე. **აუქციონზე გამოტანილია 33 209 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და 23 649 კვადრატული მეტრი შენობა-ნაგებობები. აუქციონში მონაწილეობა დაინტერესებულ მხარეებს მიმდინარე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, 12:00 საათამდე შეეძლებათ.**

№133-134. პარასკევი-კვირა, 2-4 სექტემბერი, 2022 წელი.

ბრძოლა წესების გარეშე

„ვინ კითხავს ექსპერტს, თუნდაც ძალიან ავტორიტეტულს, საქართველოს ხელისუფლება კანონში ცვლილებების რომელ წესს გამოიყენებს?

ვინც შვეიცარიულ ბანკს გააშლევინა ხელები და... ფეხებიც, იმისთვის ვენეციის კომისიის პატარა „ტანცმანცი“ რა პრობლემა უნდა ყოფილიყო? „ჩვენი საყვარელი მეგობრის“, ჯანი ბუკიკიოს მიერ მარცხენა ხელით „გაიმასქნილი“ საქმეების ამბავი, დიდი ხანია, მთელმა საქართველომ იცის. ამ თემას სამი წლის წინ ერთი საკმაოდ ვრცელი მამხილებელი წერილი მივუძღვენი („ბუკიკიომ – კიო, მაგრამ...“ – 30.04.2019), ამიტომ ვაძლევ თავს თამამი დასკვნების კეთების უფლებას.

* * *

ვენეციის კომისიის ბოლო „მოკითხვის ბარათის“ მოკლე შინაარსიც და ვრცელი შინაარსიც ერთ წინადადებაში ეტევა – **კანონთან სამართლებრივი შენიშვნები არ გვაქვს, მაგრამ ვინაიდან „ზემოდან“ ნაბრძანებია, რომ პოლიტიკურად უნდა მოგაწვეთ, მეტი ვერაფერი მოვიფიქრეთ და ვწერთ, დოკუმენტი ნაჩქარევად არის მომზადებულიო(???!!!)**... აი, ასე... არც მეტი, არც ნაკლები, ანუ არც ჭადრაკია და არც ბურთის ბადის იქით გადაგდება-გადმოგდება – **ბრძოლაა წესების გარეშე**.

ჩემი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა სამედიცინო ინსტიტუტში მხოლოდ ფულიანი და გავლენიანი ხალხის შვილები ეწყობოდნენ. ვინაიდან ქიმიაში და ფიზიკაში ყველა ამოცანის ამომხსნელი და ყველა კითხვაზე პასუხის გამცემი აბიტურიენტისთვის ნიშნის დაკლება რთული ამბავი იყო, **„საჭირო ადამიანების“ გასაყვანად საჭირო ბალანსის გამოყვანა** ქართულ ენაში ნაშრომების (წერითი გამოცდის) შეფასებით ხდებოდა ხოლმე. შეიძლება ნაწერში ერთი წითელი ხაზიც არ ყოფილიყო და ავტორისთვის ოთხიანი, ან სულაც სამიანი დაეწერათ. გაპროტესტების შემთხვევაში მზად იყო შეაბამისი კომისიის სტანდარტული პასუხი – **თემა სათანადოდ ვერ გაშალაო.**

ასეა ვენეციის კომისიის შემთხვევაშიც, ოლონდ ბატონი ბუკიკიო უფრო წინ წავიდა და „ქიმიასა“ და „ფიზიკაშიც“ აცხობს „რექტორატის“ დაკვეთილ ნიშნებს - „ნაჩქარევად არის მიღებულიო...“

ვინ კითხავს ექსპერტს, თუნდაც ძალიან ავტორიტეტულს, საქართველოს ხელისუფლება კანონში ცვლილებების რომელ წესს გამოიყენებს? ამის განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობაა. რაიმე პროცესს დავაჩქარებ თუ არ დავაჩქარებ, პოლიტიკური გადაწყვეტილების თემაა და ამაზე პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ ხელისუფლების უფლებამოსილებას წარმოადგენს. **ექსპერტების საქმე სამართლებრივი შეფასებების კეთებაა.**

თუ სამედიცინო ინსტიტუტის შემთხვევაში რექტორატი ცდილობდა კულისებიდან ემართა ვითარება, რადგან იცოდა, რომ კანონის და სამართლიანობის წინაშე სცოდავდა, აქ სულ სხვანაირადაა საქმე – „რექტორატის“ ოფიციალური წარმომადგენელი, ქალბატონი დეგნანი, როგორც დავალებაზე გასულ სამხედროს შეშვენის **(აქ იმის ხაზგასმა მინდა, რომ აშშ-ის ელჩის საქციელი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, შორს სცდება დიპლომატიურ სტანდარტებს),** ოპერატიულად გამოენთო და „გამსწორებელსაც“ (პრეზიდენტად წოდებული ზურაბიშვილი) გადაეფარა და „საპროტესტო კომისიასაც“. მისი განცხადების შინაარსს ყველგან გაეცნობით, ამიტომ ციტირებას აღარ მოვახდენ და სტრიქონებს შორის რაც იკითხება, იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას:

> **შესწორებებს მიიღებთ თუ არ მიიღებთ, სულ ცალ ფეხზე მკიდია. მთავარი ისაა, რომ მუდმივად უნდა გახსოვდეთ, თუ ვინ არის აქ მბრძანებელი და წესების განმსაზღვრელი. არ არსებობს წვრილმანი და მნიშვნელოვანი საკითხები, არსებობს ამერიკის იმპერიული ინტერესები და მოგიწევთ ამასთან შეგუება... მორჩა და გათავდა...**

ფუი ეშმაკს და... ამას რომ ვუყურებ, სულ ის ავადსახსენებელი ბორის პასტუხოვი მახსენდება ხოლმე... გასართობად რომ გვქონდეს საქმე, ასეთ თამაშს შემოგთავაზებდით – **იპოვეთ ათი განსხვავება კელი დეგნანსა და ბორის პასტუხოვს შორის,** მაგრამ... სხვა დროს იყოს, ახლა ამისთვის ნამდვილად არ გვცალია – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, ქვეყნის გადარჩენისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვართ ჩართული...

ბიძინა დვალი
01.09.2022 წ.

P.S. **მკითხველთან მართალი და პირნათელი რომ ვიყო, კელი დეგნანისა და ბორის პასტუხოვის შედარებითი დახასიათების კონტექსტში, ერთ მნიშვნელოვან კითხვას მე თვითონ უნდა გავცე პასუხი: მოსკოვის კრემლის წარმომადგენელი ვაშინგტონის კრემლის წარმომადგენლისგან განსხვავებით დემოკრატობანას არ გვეთამაშებოდა და არასდროს არანაირად არ ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ საქართველოს შიდა საქმეებში ხელების უხეში ფათური ჩვენთვისვე იყო კარგი.**

დიახ, დიახ, – რაც გინახავთ, ველარ ნახავთ!

◎ სენსაციური გაზვიადება თუ სინამდვილე?!

<u>მაიკო ელოშვილი:</u> ინტერვიუ დავით თევზაძესთან ადასტურებს, რომ ჩრდილოელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის დაგეგმვასა და განხორციელებაში სარგებლის მიღების სანაცვლოდ

„როგორც 2003 წლის გადატრიალების მონაწილე ვადასტურებ ბატონი დავით თევზაძის მიერ მოყვანილ ფაქტებს და ვუერთდები მაიკოს პოზიციას – რაც გინახავთ, ველარ ნახავთ! ეს საქართველოა! საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ – ამის შესახებ ყოფილი დეპუტატი **ხათუნა ხოფერია** სოციალურ ქსელში წერს.

ხათუნა ხოფერია ჟურნალისტ მაიკო ელოშვილის სტატუსს აზიარებს, სადაც მოყვანილია ამონარიდები დავით თევზაძის ინტერვიუდან, რომელშიც თავდაცვის ყოფილი მინისტრი დეტალურად აღწერს, როგორ და ვისი მხარდაჭერით მზადდებოდა 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია.

როგორც ჟურნალისტი წერს, ინტერვიუ დავით თევზაძესთან ადასტურებს, რომ ჩრდილოელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის დაგეგმვასა და განხორციელებაში გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ. არც ამჯერად ვართ მოკლებულნი ამგვარ გარიგებებსა თუ იძულებას.

დავით თევზაძე

„ამიტომ, ვისაც ეგონია, რომ თუ ბიძინა ივანიშვილს დაასანქცირებენ ან ქვეყნიდან გაუშვებენ, ხელისუფლებას დაამხობენ და თავი ძუდში აძვთ, უნდა იცოდნენ – როგორც კი, ისევ გარედან მოხდება პოლიტიკური პარტიების შეძმნა-დაფინანსება-მხარდაჭერა, როგორც კი, კრიმინალურ-დესტრუქციული ძალები ისევ დაიწყებენ პროცესების ძუჩაში დაძაბვას, როგორც კი, საფრთხე დაემუქრება სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობას, ჩვენ, რიგითი მოძალაქეები, გამოვალთ გარეთ და არ დავუშვებთ ძვეყნის მტრების ხელისუფლებაში მობრუნებას“ – წერს ელოშვილი.

იხ. 8 გვ.

– პირველი ნიშნები იმისა, რომ ეს შეიძლება სიმართლე ყოფილიყო, გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაიწყეს ხევსურეთში, სვანეთში და კოდორის ხეობაში ჩვენს მიერ შექმნილი ბატალიონების განიარაღება. განსაკუთრებით - კოდორის ხეობაში... ის საერთაშორისო კონვენციები, რომლითაც ჩვენ მაშინ ვხელმძღვანელობდით, კონფლიქტის ზონაში რეგულარული შეიარაღებული ძალების შეყვანას გვიკრძალავდა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა სრული უფლება, რომ ყოფილიყო თავდაცვისათვის ორგანიზებული. ამათ კურატორობას არავინ გვიკრძალავდა.



ვახტანგ კაპანაძე: სისუსტე რუსეთისთვის აგრესიის გამოწვევის მიზეზია, რატომღაც ამას ჩვენ ვერ ვხვდებით!

გვესაუბრება გადამდგარი გენერალ-მაიორი, საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი, „ჯეოქეისის“ მრჩეველი ვახტანგ კაპანაძე.

— ბატონო ვახტანგ, ვხედავთ, რომ ბოლო პერიოდში უკრაინელი სპეცსამსახურები გააქტიურდნენ — ყირიმში იყო აქტივობები, არის ცნობები, რომ რუსეთმა ანექსირებული ტერიტორიიდან მოიერიშეები გაიყვანა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე იწვის ოკუპანტების საწყობები; დასტურდება კოლაბორანტების მკვლელობის ფაქტები; ბრძოლის ველზე ტემპი შენელებულია; ბრიტანული დაზვერვის ცნობით, რუსული სამხედრო ძალა გამოიფიტა, მათში საბრძოლო განწყობა დაბალია, ხოლო რუსეთის ეკონომიკის მომავალი — ბუნდოვანი. არის ეს ომის მსვლელობაში ის გარდატეხა, რომელსაც ბევრი პროგნოზირებდა ზაფხულის ბოლოსთვის?

— ჯერ გარდატეხა არ მომხდარა, თუმცა ამის ნიშნები იკვეთება, ომის მიმდინარეობიდან გამომდინარე ვთვლიდით, რომ ამ პერიოდში უნდა გამოჩენილიყო უკრაინის დახმარება, ხოლო რუსეთისთვის კულმინაციის წერტილი. გარდატეხის ნიშნებად შეიძლება, განვიხილო ის, რომ რუსებმა უკვე მიაღწიეს თავის კულმინაციის წერტილს — ოპერატიულ დონეზე შეტევას ვერ ახორციელებენ, გადასულები არიან ლოკალურზე და ამასაც წარუმატებლად ახორციელებენ. ფაქტობრივად, მათ უკრაინის მიმართულებაზე შეტევითი პოტენციალი ამოწურეს. ერთადერთი, დონბასში აქტიურობენ, თუმცა თვენახევარია, გაჩერებულები არიან ბახმუტის და სოლედარის ზღუდეზე, რომელიც არც კი ითვლებოდა უკრაინის თავდაცვის მთავარ რაიონად (ასეთი უკრაინისთვის დონბასში კრამატორსკი-სლავიანსკია). ჩანს, რომ რუსებს მართლაც უჭირთ. მათ ოპერატიული პაუზა არ აიღეს და არ გამოიყენეს გადაჯგუფება-გადახალისებისთვის, გამაგრებისა და ოპერატიული გეგმების შეცვლისთვის, ვინაიდან, როგორც ჩანს, „ზემოდან“ იყო პოლიტიკური ზეწოლა, სადღეისოდ ასეთ მდგომარეობაში ამიტომაც იმყოფებიან — კულმინაციის წერტილს მიაღწიეს. ეს შეიძლება, იყოს გარდატეხის ნიშანი, მაგრამ უკრაინისთვის, ჩემი ხედვით, გარდატეხა იქნება, როდესაც თავად აიღებს ხელში ინიციატივას და შეძლებს, განახორციელოს ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა. რაც შეეხება მტრის ზურგში ამჟამინდელ მოქმედებებს, ორგანოები (თუ მათ პარტიზანებს ვუწოდებთ) წინასწარ იქნებოდა შექმნილი, თუმცა მათ მომზადებას, ამოცანების დასახვას, გარკვევას, თუ ვის, სად და როგორ დაარტყან, სპეცსამსახურების მიერ პარტიზანებთან დაკავშირებას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ეს დრო გავიდა და ფაქტია, რომ გააქტიურდნენ და ამაზე მიუთითებს დივერსიული ქმედებების რაოდენობა, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება, მაგრამ ეს ჯერ იმ მასშტაბის არ არის, რაც რუსეთს ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა.

— ვხედავთ, რომ ზაფხულში აქტიურობაა ხერსონის მიმართულებით, უკრაინელებიც ახორციელებენ დარტყმებს, მაგრამ თქვენც ბრძანეთ, მასშტაბური შეტევაა საჭიროო, რასაც იარაღი სჭირდება. ბევრი ექსპერტისგან მომისმენია, რომ „ჰაიმარსები“ კარგია, ისინი ასრულებენ საკუთარ ამოცანას, მაგრამ ტანკის წინააღმდეგ ტანკია საჭიროო“, ანუ შესაბამისი იარაღი. რატომ ვერ ხერხდება, დაპირების მიუხედავად, უკრაინისთვის შესაბამისი იარაღის დროულად მიწოდება?

— ტანკის წინააღმდეგ ტანკია საჭირო — მოძველებული პარადიგმაა. არსებობს ეფექტური სისტემები.

— მოდით, ვთქვათ, საჭირო იარაღი...

— ტანკი და ჯავშანტექნიკა უკრაინას იმ რაოდენობით სჭირდება, რომ თავად გადავიდეს შეტევაზე. მოშიშვლებულ რაიონში ჯავშნის გარეშე ვერ შევა. საბჭოთა სტანდარტით (ვინაიდან რუსეთზე და უკრაინაზე ვსაუბრობთ) დარტყმითი შესაძლებლობა არის ჯავშანტექნიკის არსებობა, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც მობილობას, ისე საცეცხლე შესაძლებლობას და დაცულობას. თუ აქამდე რუსები იყვნენ მოძრავი სამიზნეები, ვინაიდან შეტევას ისინი ახორციელებდნენ, უკრაინელებს შესაძლებლობა შესაბამისი უნდა ჰქონდეთ, რომ იგივე თავად გახდნენ. თუ რაოდენობრივად ვერ ახერხებს რუსეთზე უპირატესობის მოპოვებას, ხარისხობრივად უნდა შეძლოს. ამასთან, სჭირდება ახლო მხარდაჭერის ავიაცია, „ჰაიმარსების“ მეტი რაოდენობა, ისევე როგორც თვითმავალი ჰაუბიცების, რომლებიც ჯავშანტექნიკასთან ერთად იმოძრავებენ და შეტევით შესაძლებლობას, მობილურობას და სისწრაფეს კიდევ უფრო გაზრდიან. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია „ჰაიმარსებისთვის“ იმ რაკეტების მიღება, რომელიც 300 კმ-ს სწვდება, რათა რუსების ძირითადი თავდაცვითი რაიონებიდან რეზერვების მოწყვეტა შეძლონ. ამდენად, ბევრი რამ ჯერ კიდევ სჭირდება უკრაინას. ის რაოდენობა, რაც მას გააჩნია, აძლევს საშუალებას, რუსები მოიგერიოს, მაგრამ კონტრშეტევისთვის რუსულ საცეცხლე შესაძლებლობაზე ხარისხობრივი უპირატესობის მოპოვება სჭირდება. რამდენად მისცემს მსოფლიო უკრაინას იმ რაოდენობის იარაღს, რომ გაიმარჯვოს, ეს უკვე სხვა თემაა.

— სწორედ ამას ვკითხულობ. ცივილიზებული სამყაროს, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებული პოზიციაა, რომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს და ბოლომდე დაუდგება გვერდში. რაც დრო გადის, ნეგატიური პროცესები მით უფრო ახდენს, მათ შორის, დასავლეთზეც გავლენას. მაშ რატომ აგვიანებს შესაბამისი ტიპის და რაოდენობის იარაღის მიწოდება?

— აქ რამდენიმე ფაქტორია, მათ შორის, პოლიტიკური — რას ნიშნავს უკრაინის გამარჯვება, ვინ როგორ აღიქვამს მას? ეს არის რუსების საბოლოოდ გაჩერება, რომ უარი ათქმევინონ მას შემდგომ ექსპანსიაზე და დარჩეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ფინეთმა, როდესაც საბჭოთა კავშირმა მას კარელია წაართვა, თუმცა ითვლებოდა, რომ ომში ფინეთმა გაიმარჯვა!

გამარჯვებად ჩაითვლება, ხერსონის და ზაპოროჟიეს გათავისუფლება და აზოვის ზღვაზე გასვლა, რომელიც ამ დროისთვის დაკარგული აქვს უკრაინას? თუ გამარჯვებაა ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება ყირიმის ჩათვლით? რაზე წავა მსოფლიო? ყველაფერს თავისი ფასი აქვს.

— მათ შორის, ფასი ექნება იმასაც, თუ რუსეთს არ გააჩერებ...

— ეს უფრო პოლიტიკური ფასი იქნება. ფაქტია, რომ დასავლეთი დაეხმარა უკრაინას და მან შეძლო რუსეთის შეჩერება. ისიც ფაქტია, რომ მსოფლიო რუსეთს თავისი ამოცანების შესრულების უფლებას არ მისცემს. ახლა ლაპარაკია იმაზე, თუ რა არის შემდეგი ნაბიჯი, რა არის ხაზს მიღმა? მე უკვე ვახსენე სამი ვარიანტი. ცხადია, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ იტყვის საკუთარი ქვეყნის ტერიტორიებზე უარს, მაგრამ ვფიქრობ, მიმდინარე ეტაპზე ხერსონის და ზაპოროჟიეს გათავისუფლება უკრაინისთვის დიდი გამარჯვება იქნება.

— ეგოისტური კითხვა უნდა დავსვა. იქნებოდა ეს ის გამარჯვება, რომელიც ჩვენ პოტენციურ საფრთხეს მოგვიხსნიდა?

— უკრაინამ საკუთარი ტერიტორიები სრულად რომ გაათავისუფლოს, ჩვენ საფრთხე არანაირად არ გვეხსნება. სამწუხარო რეალობაა ასეთი. რუსეთი რომც დაიშალოს, საფრთხე რჩება, რადგან არეული რუსეთი არანაკლები საფრთხის მატარებელია, ვიდრე „დალაგებული“ და ძლიერი. განსხვავებული იქნება საფრთხის სიდიდე და ფორმა. გარდა ამისა, თუ რუსეთმა უკრაინაში მიიღო მტკივნეული მარცხი, საქართველოსთვის შესაძლებლობაა, ნატოს თუ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების მიმართულებით ჩაერთოს მნიშვნელოვან შემაკავებელ კოალიციაში.

— ვხედავთ თურქეთის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანის მცდელობას, მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას ვლადიმირ პუტინი და ვოლოდიმირ ზელენსკი, რასაც უკრაინელები არ სთანხმდებიან. რიგი ანალიტიკოსების შეფასებით, კრემლი ელის ზამთარს, დასავლური საზოგადოების გადაღლას, რათა დასავლეთმა განახორციელოს ზეწოლა კიევზე, კრემლთან წავიდეს დათმობაზე. როგორ ხედავთ მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარების პერსპექტივას?

— დიახ, რუსეთი ამჟამად თავად ცდილობს (ამაში თურქეთს იყენებს, რომელსაც ცხადია, თავისი მიზნები აქვს) მოლაპარაკებებს, რათა დაელოდოს „გენერალ“ ზამთარს, რომელიც ხშირად შველოდა რუსეთს. თუკი შეთანხმება დაიდება თუნდაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ეს იქნება დრო რუსეთისთვის, დაიწყოს ძალების შეგროვება, გადაჯგუფება... ამასთან, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ცეცხლის შეწყვეტის პირობებში ევროპა უკრაინას იმ რაოდენობით იარაღს აღარ მიაწვდის, როგორც დღეს აწვდის. მეორე ფაქტორი ის გახლავთ, რომ ზამთარში უშუალოდ უკრაინის და ევროპის

◎ ინფორმაცია თემაში

რუსეთს მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობა აქვს

გერმანიის შეიარაღებული ძალების (ბუნდესვერი) გენერალურმა ინსპექტორმა, გენერალმა ებერჰარდ ცორნმა განაცხადა, რომ დასავლეთმა სათანადოდ უნდა შეაფასოს რუსეთის სამხედრო ძალა და აღნიშნა, რომ რუსეთს მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობა აქვს, თუკი ამას აირჩევს.

„რუსეთის სახმელეთო ჯარების ძირითადი ნაწილი შესაძლოა უკრაინაში იყოს, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ რუსეთის სახმელეთო ჯარების პოტენციალი ომის მეორე თეატრის გახსნის თვალსაზრისით“, — აღნიშნა გერმანელმა გენერალმა. მისი თქმით, არმიის გარდა, რუსეთს ასევე ჰყავს საზღვაო ფლოტი და საჰაერო ძალები.

„რუსეთის საზღვაო ძალების უმეტესი ნაწილი ჯერ არ არის განლაგებული უკრაინის წინააღმდეგ ომში და რუსეთის საჰაერო ძალებს ჯერ კიდევ აქვთ მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც საფრთხეს უქმნის ნატოსაც. რაც შეეხება რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, რუსეთს შეუძლია კონფლიქტის რეგიონული გაფართოება. ის, რომ რუსეთისთვის ეს ძალიან არაგონივრული საქციელი იქნება, სხვა ამბავია“, — აღნიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების (ბუნდესვერი) გენერალურმა ინსპექტორმა. მან ასევე ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებზე და აღნიშნა, რომ რუსეთის თავდასხმის დინამიკა შენელდა, თუმცა რუსეთი კვლავ აგრძელებს წინსვლას.

რუსეთ-აფაზეთის დაპირისპირება მწვავდება

სოხუმიდან ელჩის გაწვევას მოითხოვენ!

აფხაზური საზოგადოების დაპირისპირება რუსეთის საელჩოსთან ძალას იკრებს. ახალი ელჩის გამონათქვამებით უკმაყოფილო მოქალაქეები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები აფხაზეთიდან მიხეილ შურგალინის გაწვევას მოითხოვენ.

დიპლომატი, რომელიც რუსეთის საელჩოს მიმდინარე წლის მაისში ჩაუდგა სათავეში, მანამდე მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში დსთ-ის ქვეყნების IV დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. თავად ეს დეპარტამენტი კი აფხაზეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საკითხებს კურირებს.

შესაბამისად, შურგალინის სამუშაო გამოცდილება წესით, უნდა დახმარებოდა დაძაბულობის მოხსნას რუსეთის საელჩოსა და აფხაზურ საზოგადოებას შორის, — ყოველ შემთხვევაში, ამას იმედოვნებდა მოსახლეობა იმის გათვალისწინებით, რომ დიპლომატი აფხაზეთში წარგზავნამდე უშუალოდ იყო დაკავებული ორმხრივი ურთიერთობების თემატიკით. თუმცა შურგალინმა ყველა გააოცა — და არა მარტო აფხაზური კანონმდებლობის, არამედ დიპლომატიის საწყისების არცოდნითაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ხალხებს შორის კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

მიხეილ შურგალინამდე აფხაზეთში რუსეთის ორმა ელჩმა იმუშავა — სემიონ გრიგორიევმა და ალექსეი დვინიანინმა. ეს უკანასკნელი რესპუბლიკიდან ვადაზე ადრე გაიწვიეს. მიზეზები ოფიციალურად არავის განუმარტავს, თუმცა რესპუბლიკაში მოარული ხმების თანახმად, მიზეზად რუსი დიპლომატის ზედმეტი სიხისტე და აფხაზეთის შიდა საქმეებში ჩარევა იქცა.

მიხეილ შურგალინმა ამ თვალსაზრისით ყველა წინამორბედს გადაუსწრო. ამას წინათ „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის ხალხზე ზრუნვის ლამაზ საფარქვეშ მან გამოთქვა რიგი საყურადღებო თეზისი, რომლებიც არა მარტო რესპუბლიკის კონსტიტუციას არღვევს, არამედ მოსახლეობის გრძნობებსაც შეურაცხყოფს. მოვიყვან რამდენიმე მათგანს:

„ბევრის მოტივების გულწრფელობას ეჭვქვეშ ვერ დავაყენებ, მაგრამ მინდა, აღვნიშნო, რომ ხსენებული შეთანხმების მოწინააღმდეგეთა ნაწილს ამოძრავებს სწრაფვა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მაქსიმალურად ავნონ...“;

„...როგორც ელჩმა, მინდა, გაგაფრთხილოთ, რომ ამ თემით პოლიტიკურმა სპეკულაციებმა შესაძლოა, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთქმედებას ზიანი მიაყენოს...“;

„აფხაზეთში ყველა აცნობიერებს, რომ „ბიჭვინთის“ ირგვლივ ისტორიამ შესამჩნევად შთააგონა რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ურთიერთობების განმტკიცების მოწინააღდეგეები, რომლებიც, მათ შორის — ისინიც, ვინც ენგურს გაღმაა, სიამოვნებით მუსირებენ ამ სიუჟეტს საკუთარ ინტერესებში“.

რუსეთის ელჩის გამონათქვამებს რეაქცია ელვისებური სისწრაფით მოჰყვა. აფხაზეთის მოქალაქეებისა და ვეტერანების კავშირმა გაავრცელა მიმართვა, რომელშიც ელჩის საქმიანობა, არც მეტი, არც ნაკლები, „აფხაზეთის რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეების ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ“ შეაფასა.

„...აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილის ამ გზით დადანაშაულება და ფაქტების აშკარა დამახინჯება თქვენამდე რუსეთის ოფიციალურ პირთაგან არავის მოსვლია თავში“, — ნათქვამია ტექსტში.

ავტორების განცხადებით, არაკომპეტენტურობა და არაშორსმჭვრეტელობა, რომლითაც აფხაზეთის მოქმედი ხელისუფლება რუსეთის ელჩთან უნისონში რუსეთისთვის სახელმწიფო აგარაკ „ბიჭვინთის“ გადაცემის აუცილებლობის დასაბუთებას ცდილობს, ხელს უწყობს ანტირუსული განწყობების ზრდას და აფხაზურ საზოგადოებას რუსეთთან ურთიერთობების რევიზიისკენ უბიძგებს.

„გაბედეთ, „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და რუსეთ-აფხაზეთის სამოკავშირეო ურთიერთობების მოწინააღმდეგეები“ გეწოდებინათ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის? გამაოგნებელია პოლიტიკური უპასუხისმგებლობა და სითამამე, როლითაც აფხაზეთის ხალხი გააიგივეთ „მათთან, ვინც ენგურს გაღმაა და ამ სიუჟეტს საკუთარ ინტერესებში მუსირებს“ — ნათქვამია მიმართვაში.

ესოდენ სერიოზული და აგრესიული განცხადებები აფხაზეთში რუსეთის საელჩოს არსებობის მრავალი წლის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. ეს ფაქტი, ისევე, როგორც ჩვენი რესპონდენტების მოსაზრებები სტრატეგიული მოკავშირისადმი უნდობლობისა და რუსეთ-აფხაზეთის დაპირისპირების ზრდაზე მეტყველებს.

იხ. 8 გვ.

მოსახლეობას გაუჭირდება. ეს არის ზეწოლის ფაქტორი, რომლითაც რუსეთმა შეიძლება, დაიწყოს პოლიტიკური ვაჭრობა და ჰქონდეს მცდელობა, რაღაც ხელშეკრულებაზე წამოსვლა აიძულოს უკრაინას ევროპის ზეწოლით. გარდა ამისა, ზამთარში დაცვაში მყოფი მხარე უფრო კომფორტულადაა, ვიდრე შეტევაში მყოფი.

— შეუძლებელია მსგავსი ანალიზი არ კეთდებოდეს უკრაინელების და პარტნიორების მხრიდან...

— ცხადია.

— შესაბამისად, შორ მანძილზე მოქმედი იარაღის მიწოდებას, რომელიც თქვენც ახსენეთ, უნდა ველოდოთ? მესმის, რომ შესაძლოა, იყოს პირობები, მათ შორის, მათი რუსეთის ტერიტორიაზე არგამოყენების, მაგრამ მეორე მხრივ, ვიცით, რომ რუსეთის ტერიტორიიდან იბომბება უკრაინის რეგიონები. ომი მოიგო ისე, რომ არ მიაყენო დარტყმა მოწინააღმდეგეს, ეს როგორ ხდება?!

— უკრაინას ლეგიტიმური უფლება აქვს, დარტყმები განახორციელოს რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ვიმეორებ, გააჩნია, დასავლეთი რას თვლის გამარჯვებად და სადამდე მიჰყვება უკრაინას. მე ხომ არ ვიცი მათი ჩანაფიქრის შესახებ?! სჭირდება დასავლეთს დაშლილი რუსეთი? რუსეთი ხომ მხოლოდ რუსების ქვეყანა არ არის? იქ არის კულტურულად-ეთნიკურად-რელიგიურად განსხვავებული ხალხების ერთობა: თათრეთია, ბაშკირეთი, ჩრდილოეთ კავკასია და ა.შ. ამავე დროს არსებობს ბირთვული იარაღი. სჭირდება მსოფლიოს ამხელა ტერიტორიაზე არაკონტროლირებადი რეალობა? მიმდინარეობს პოლიტიკური გათვლები, ახლოვდება ზამთარიც, რომელიც ასევე პრობლემატური იქნება. სწორედ ამიტომ არ დებს უკრაინა რუსეთთან არავითარ შეთანხმებას, არ აწყობს დროის გაჭიმვა, რადგან ამით რუსეთი მოიგებს, რუსეთი კი პირიქით — ცდილობს, ვითარება როგორმე მიიყვანოს ზამთრამდე. დაველოდოთ მოვლენებს. ვიმეორებ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო ამ ეტაპზე რას ჩათვლის უკრაინის გამარჯვებად, სადამდე დაეხმარება. საუბარია მოკლე და საშუალოვადიან სტრატეგიულ პერიოდზე, თორემ, ის, რომ ამერიკულ მოიერიშეებზე ვარჯიშობენ უკრაინელი მფრინავები, საიდუმლო აღარაა; სლოვაკეთი ამზადებს უკრაინელებისთვის საკუთარ გამანადგურებლებს, რადგან პოლონეთთან და ჩეხეთთან დადო შეთანხმება, რომ ისინი გადაფარავენ მის საჰაერო სივრცეს; უკრაინელებმა უკვე შეძლეს რადარსაწინააღმდეგო რაკეტების (რომლებიც მათ ამერიკელებმა მისცეს) ადაპტირება საბჭოთა თვითმფრინავებზე (მიგ-29) და ა.შ. — ამდენად, დახმარება მოდის, სასურველია, იყოს მეტი. მაგრამ აქაც ფაქტორები არსებობს: დრო, ვიდრე იარაღი მივა უკრაინამდე და მეორე — შეიარაღების მიმწოდებელ ქვეყანას აქვს საკუთარი თავდაცვის მინიმალური დონე, რომლის ქვემოთაც იარაღს არავის მიაწვდის, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად რჩება დაუცველი. ამდენად, ყველა ქვეყანა ეხმარება ისე, როგორც შეუძლია, მაგრამ ვიმეორებ, ეს დახმარება ჩემი აზრით, არ ხორციელდება იმ რაოდენობით და სისწრაფით, რომელიც უკრაინას ამ ეტაპზე სჭირდება ფართომასშტაბიანი შეტევისთვის. ვიმედოვნებ, ამას გარკვეული მაკუმულირებელი ეფექტი ექნება და ზამთრამდე ნამდვილად გამოჩნდება გარდატეხა.

— ბრძანეთ, მნიშვნელოვანია, სადამდე მიჰყვება მსოფლიო უკრაინასო და ამ კონტექსტში მინდა ვიკითხო: ამერიკული მედია წერს, აშშ გეგმავს, უკრაინისთვის დახმარების მისიას სახელი დაარქვას, რომელსაც ამერიკელი გენერალი უხელმძღვანელებს. ამას ადგილობრივი მედია, აშშ-ის მხრიდან მათ შორის, ომში ჩართულობის ფორმალურ აღიარებად განიხილავს. თქვენ რას იტყვით?

— ისრაელ-არაბეთის ცნობილი კონფლიქტის დროს მხარეებთან საბჭოთა კავშირს მრჩევლებიც ჰყავდა გაგზავნილი და იარაღსაც აწვდიდა არაბულ ქვეყნებს, მაგრამ არავის უღიარებია, რომ საბჭოთა კავშირი მხარე იყოს კონფლიქტის. ამდენად, გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს. ეს პოლიტიკურ სიტყვათა თამაშია. ფაქტი ერთია: ამერიკელები ამბობენ, ჩვენ ვეხმარებით, მაგრამ არ ვმონაწილეობთო. იგივეს აცხადებს დანარჩენი ცივილიზებული სამყარო.

— უკრაინაში რუსეთის მიერ ომის გაჩაღების პარალელურად ვხედავთ, რომ ნატო აღმოსავლეთით საკუთარ ფლანგს აძლიერებს. ეს ომის მიმდინარეობაზე რაიმე სახის გავლენას მოახდენს?

— ნატომ ისარგებლა მომენტით (უკვირთ, „ამდენი ხანი რუსეთის როგორ გვეშინოდაო“) და გააძლიერა აღმოსავლეთ ფლანგი; შვედეთი და ფინეთი წევრები გახდნენ და ალიანსი ამ ომის დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ცხადია, რუსეთი იძულებულია, გარკვეული ძალები ფინეთის და ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვების მიმართულებაზე გაიყვანოს. თუ აქამდე არქტიკის ზღვაზე მხოლოდ ნორვეგია იყო კონკურენტი, ახლა უკვე ნატო შედის. ამდენად, ამ კუთხით ახდენს გავლენას ომზე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ არსებითს.

— თქვენ საუბრისას ახსენეთ თურქეთის ინტერესები. მეტი გვითხარით ამის შესახებ...

— თურქეთი საკუთარ თამაშს თამაშობს. რუსეთის დასუსტება აწყობს, იქნება ეს ამიერკავკასიაში თუ სირიაში, ეს მისთვის ბრწყინვალე შესაძლებლობაა, გამოიყენოს შექმნილი ვითარება: ერთ ხელს რუსეთს არ თმევს, მეორე ხელით კი უკრაინას ეხმარება, მედიატორად გამოდის ამ დაპირისპირებაში და ა.შ. მაღლა წევს თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას...

— ვინაიდან ვითარებით სარგებლობაზე ვსაუბრობთ, მინდა, აზერბაიჯანიც ვახსენოთ, რომელსაც ძლიერი პარტნიორი ჰყავს თურქეთის სახით. მან ისარგებლა სიტუაციით და ჩვენ ამ პროცესებში სად ვართ?

— მაგას ვერ გეტყვით. არ ვიცი. ალიევი თურქეთთან ერთად საკუთარ თამაშს რომ დაიწყებს, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ხმასაც ვერ გასცემს რუსეთი, ვინაიდან ალიევს კედელივით უდგას თურქეთი. ხოლო ლაჩინში ალიევის შესვლით, ასევე ფაქტია, რომ რუსეთმა სომხეთი საბოლოოდ გაყიდა.

— თურქეთი მუდმივად ლავირებდა. მაინც რით არის განპირობებული კრემლის, ასე ვთქვათ, „მოკრძალება“ მის მიმართ?

— ძალით! ერთადერთი რამ, რასაც რუსეთი პატივს სცემს, ეს ძალაა. თურქებმა რამდენიმე თვეში შეძლეს ის, რაც მაგალითად რუსეთმა 30 წლის განმავლობაში ვერ გააკეთა ყარაბაღში — ვერ დაარეგულირა სიტუაცია. თურქეთი ამიერკავკასიაში საკუთარი გავლენებით ისე შევიდა იმ ზონაში, რომელიც რუსეთის ინტერესების ექსკლუზიურ ზონად ითვლებოდა, რომ მოსკოვს ხმაც არ ამოუღია. თუ გახსოვთ, თავის დროზე, თურქებმა თვითმფრინავი ჩამოუგდეს რუსეთს, ელჩი მოკლეს და შემდეგ მოსკოვის პასუხი რა იყო? პომიდვრის ექსპორტი შეწყვიტა თურქეთიდან.

— შემდეგ ბოდიში მოიხადა ანკარამ და კომპენსაცია გასცა დაღუპული მფრინავის ოჯახზე...

— აბა საქართველოს ჩამოგვეგდო რუსული თვითმფრინავი... ვიმეორებ, რუსეთი პატივს მხოლოდ ძალას სცემს! ეს რეალობაა! რატომღაც ამას ჩვენ ვერ ვხვდებით! სისუსტე მისთვის აგრესიის გამოწვევის მიზეზია! როგორც კი სისუსტეს ხედავს, ავტომატურად ერთვება აგრესია, თურქეთს კი ხმასაც ვერ სცემს. აბა ჩვენ მიგვეცა „ბაირახტარები“ უკრაინისთვის?!...

— აქვე გკითხავთ. საკმაოდ ნეიტრალური პოზიცია გვიჭირავს უკრაინის ომთან მიმართებით. კიდევ რამდენ ხანს შეიძლება, შეძლოს საქართველომ მსგავსი პოზიციის შენარჩუნება?

— არ ვფიქრობ, რომ პოზიცია რუსეთს რაღაც სენტიმენტებს გაუღვიძებს. გადახედეთ ისტორიას! აბსოლუტურად ყველა ხელშეკრულება დაარღვია რუსეთმა, რომელიც კი დაგვიდია მასთან. მათივე გამოთქმაა, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერაო“. თუ მოუნდება რაიმეს გაკეთება, გააკეთებს!

— მაშ, გარდაუვალის უბრალოდ გადავადებას ემსახურება ჩვენი პოზიციონირება?

ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ. ამაზე პოლიტოლოგებმა ისაუბრონ, მათ გაარჩიონ საქართველოს პოლიტიკური ნაბიჯები.

— და ბოლოს, ყარაბაღში არსებული ამჟამინდელი მოცემულობა იძლევა იმედს, მშვიდობიანი პროცესი დაიწყოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რაც ცხადია, ჩვენს ინტერესშიც შედის?

— ამ ეტაპზე მეეჭვება: ფაქტია, რომ სომხეთი ჯერ კიდევ რჩება ყარაბაღის მძევლად, რასაც რუსეთი ყოველთვის გამოიყენებს. სომხეთში რჩება რუსული სამხედრო ბაზა. მოსკოვი არ დაუშვებს, ხელიდან გამოეცალოს სომხეთი, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანად დაკარგავს ამიერკავკასიას.



დავით გურამიშვილის უკრაინული ეპოპეა

ორ ასეულზე მეტი ხნის წინ უკრაინაში გაჩერებულ ქართველ უფლისწულს მოხუცი ოფიცერი ესტუმრა და თავისი ჩანაწერები გადასცა - ასე აღმოჩნდა საქართველოში გურამიშვილის „დავითიანის“ ერთადერთი ხელნაწერი.

„ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი“ (დ.ბ.)

ზუბოვკაში დავით გურამიშვილის აღარაფერია შემორჩენილი. დიდი ხნის ძეგნის შემდეგ მისი საფლავი მირგოროდში, ტაძრის სასაფლაოზე იპოვეს. მირგოროდშივე გაიხსნა სიმბოლური მუზეუმი, სადაც იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი უკრაინული და ქართული ნივთებია თავმოყრილი, უშუალოდ გურამიშვილების ნაქონი – არაფერი. არ შემონახულა.

ორმოდან მოსკოვში

ამგვარი იმისა, თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი თავადიშვილი შუაგულ უკრაინაში, უჩვეულოა. მე-18 საუკუნის გარიჟრაჟზე, 1705 წელს დაბადებულ ბიჭს არცთუ იოლი ბედი დაჰყვა – ჯერ მარტო, სამჯერ ტყვედ იყო ჩავარდნილი.

პირველად ლეკებმა მოიტაცეს. გამოიქცა. ისევ დაატყვევეს და დაღესტანში, ხაროში ჩასვეს. დავითმა აქედანაც მოახერხა თავის დაღწევა, მაგრამ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, რუსეთის გზას დაადგა, რომელზეც ლეკები ვეღარ დაეწეოდნენ. მოსკოვში ჩასული ვახტანგ მეექვსის სამსახურში ჩადგა. მაშინ გურამიშვილი 24 წლის იყო. ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი იცოცხლა და მიუხედავად იმისა, რომ სულ საქართველოზე ოცნებობდა, უკან დაბრუნება ვეღარ მოახერხა, სამშობლოში ვახტანგ მეექვსის ამალის წევრებს არ სწყალობდნენ.

* * *

ვახტანგ მეექვსე პირველი იყო, ვინც ქართული სტამბა დააარსა და „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა. „ფრიად მოღვაწე..., ქურივ-ობოლთა და გლახაკთა მიმცემელი, უღონოთა შემბრალე... ცოდნისმოყვარე“... ასე ახასიათებს მას ვახუშტი ბაგრატიონი. მაშინ კავკასიისთვის ორი ძალა იბრძოდა - რუსეთი და ირანი. ვახტანგი რუსეთს მიემხრო. პეტრე პირველთან ერთად ირანის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ, მაგრამ პეტრე შუა გზიდან უკან გაბრუნდა და საქართველო ბედის ანაბარა მიატოვა.

1724 წელს ვახტანგ მეექვსე ოჯახით და 1200-კაციანი ამალით რუსეთის გზას დაადგა. იმედი ჰქონდა, რუსეთის მხარდაჭერითა და ჯარით მალე უკან დაბრუნდებოდა და ქვეყანას დამპყრობლისგან გაათავისუფლებდა. მაგრამ პეტრე პირველი გარდაიცვალა, მის მემკვიდრეებს კი საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესი გაუნელდათ.

სწორედ ვახტანგ მეექვსესთან ჩავიდა დავით გურამიშვილიც. ვახტანგმა მას ჯაბადარბაშის თანამდებობა უბოძა, ანუ იარაღის საწყობების უფროსად დანიშნა. იქვე ჩამოყალიბდა ქართველ ჰუსართა პოლკიც. დავითი რუსეთის ლაშქრობებში მონაწილეობდა, სწორედ ერთ-ერთ ბრძოლაში, პრუსიის წინააღმდეგ ომისას გამოცადა მესამე ტყვეობა.

უკვე ასაკში შესულს მირგოროდში სახლი, ზუბოვკაში კი მამულები უბოძეს.

ასე მოხდა გურამიშვილი დღევანდელ უკრაინაში.

„ახ, კაკ სკუშნო“...

„დავითმა ინვალიდობის გამო (მან ცალი თვალი დაკარგა) 52 წლისამ დაასრულა სამხედრო სამსახური. როგორც თავადმა, იმპერიის საზღვრებში მამულები და რამდენიმე კომლი ყმა მიიღო.

ჰყავდა ცოლი ტატიანა ავალიშვილი, მაგრამ შვილი არ გასჩენიათ. მირგოროდის აღაპთა წიგნში ასეთი ჩანაწერია შემონახული: აღესრულა თავადი დავიდ გურამოვი და ტატიანა ავალიშვილი-გურამოვისა“, – **ჰყვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რაულ ჩილაჩავა.**

ზუბოვკასა და მირგოროდში დავითმა უკრაინული ხალხური ლექსების მოტივებზე მთელი ციკლი დაწერა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ცხოვრება უცხოეთში გაატარა, სრულყოფილად არც რუსული იცოდა, არც – უკრაინული.

„ალბათ არც უნდოდა ესწავლა, იმდენად ღრმად იყო ქართულ ენაში ჩაფლული. რუსთაველის ეპიგონებს ჰქონდათ ქართული ლიტერატურა წალეკილი, როდესაც დავითი გამოჩნდა თავისი კრებულით. აბსოლუტურად თანამედროვე, თავანკარა ქართულით არის დაწერილი. უამრავი ახალი რითმა და მელოდია შემოიტანა. საკუთარ დაუდო ახალ პოეზიას, რომელიც ყველაზე მეტად შემდეგ გალაკტიონმა აიტაცა. ენის მოფრთხილებმა უცხოეთში მყოფი ადამიანის ინსტინქტია და დავითს ეს განსაკუთრებულად ჰქონდა გამძაფრებული“, – ამბობს რაულ ჩილაჩავა.

ფილოლოგიის დოქტორი ლალი დათაშვილიც ფიქრობს, რომ რუსთაველის შემდეგ ქართულ ლექსს გურამიშვილივით თავისუფლად და გაბედულად არავინ მოქცევია.

„ის დიდი ღვთისმეტყველი და დიდი პოეტია, ლექსის საუკეთესო რეფორმატორი. სრული თავისუფლება მისცა ქართულ ლექსთწყობას“, – ამბობს ლალი დათაშვილი და კიდევ ერთ პარალელს ავლებს, ამჯერად გურამიშვილსა და უკრაინელ პოეტ-ფილოსოფოს გრიგორი სკოვოროდას შორის, – **„ერთი დროის და ერთი ტიპის მოაზროვნეები არიან. მაშინ ტერმინი რეალიზმი ჯერ არ იყო, მაგრამ სიმართლის თქმა, სიმართლის ასახვა, სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, დიდაქტიკა - ეს თემები საერთო აქვთ. იმ პერიოდში ევროპიდან განმანათლებლობის ტალღა მოდიოდა და ევროპული ყაიდის მოაზროვნეები არიან ორივენი“.**



დავით გურამიშვილის მონუმენტი მირგოროდში

დავითის წისქვილი

როდესაც დავითი უკვე ღრმად მოხუცებული იყო, პოლტავის ოლქში მირიან ბატონიშვილი ჩავიდა. ერეკლე II-ის შვილი მირიანი იმ დელეგაციაში შედიოდა, რომელიც ერეკლემ 1783 წელს ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით პეტერბურგში გააგზავნა. მაშინ მირიან ბაგრატიონი იქვე დარჩა, მოგვიანებით კი დროებით დაბრუნდა საქართველოში.

1787 წელს მირიან ბატონიშვილი კრემენჩუგში ჩავიდა, რუსეთის ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინს უნდა შეხვედროდა. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ლეგენდის თანახმად, პოტიომკინმა უკრაინაში, იმ მარშრუტის გასწვრივ, რომელიც ეკატერინე მეორეს უნდა გაევლო, ბუტაფორიული სოფლები „ააწყო“.

„დავითმა შეკაზმა ცხენი და კრემენჩუგში ჩავიდა, რომ „დავითიანი“ გადაეცა. 100 კილომეტრი იარა, არადა, მაშინ უკვე 80-ს იყო გადაცილებული“, – ამბობს რაულ ჩილაჩავა.

ფილოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორი მერაბ ღაღანიძე თავის წიგნში „ლიტერატურა, კულტურა, რელიგია“ აღწერს, როგორ მივიდა თითქმის უსინათლო მოხუცი მირიან ბატონიშვილთან და სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობის სქემა წარუდგინა, რომელსაც თან სასხვათაშორისოდ „დავითიანიც“ ახლდა.

დავით გურამიშვილს შემჩნეული ჰქონდა, რომ უკრაინის მდინარეები ძალიან მდორედ მიედინებიან, განსხვავებით აზიისგან (აქ სავარაუდოდ საქართველო იგულისხმება), სადაც „საითაც უნდა, რუით წაიყვანს კაცი და, რასაც უნდა, მორსწყავს“. გვალვის დროს ეს მდინარეები აღარც მოსარწყავად ვარგოდა და აღარც წისქვილი ფქვავდა. დავითმა წყლის ასამაღლებელისა და ისეთი წისქვილის პროექტები გააკეთა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ იმუშავებდა. ამ წისქვილისგან მოსალოდნელი სარგებელი 12 მუხლად ჰქონდა ჩამოწერილი და ახლა მირიან ბატონიშვილს პოტიომკინთან შუამდგომლობას სთხოვდა, „ერთი ნასოსის მხვრეტელი კაცი“ და ოცი თუმანი გამომიყავითო. ნახაზებში ღვთისმშობლის ხატიც ჩაეხატა, საკუთარი თავიც, ფულის შესაწირ ყულაბასთან ერთად, თუ წისქვილი აშენდა, იქ ხატს დავასვენებ და მომსვლელები ჩემს მოსაგონრად სანთელს დაანთებენო. ლექსიც შეეთხზა:

„ღმერთო, მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.
ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლურზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე, აღვანთო
მე შენს წინაშე სანთელი“.

აი, ამ სქემებსა და ნახაზებს ერთვოდა პოემა „დავითიანიც“, რომელიც გურამიშვილმა მირიანს გადასცა. დავითის მოფიქრებული საირიგაციო სისტემისგან განსხვავებით, მირიანმა „დავითიანი“ მართლაც სათანადოდ დააფასა და საქართველომდე ჩამოიტანა.

„ლეგენდაც კი არსებობს, რომ დონზე ცხენით გადასვლისას მირიანს მდინარემ გასტაცა ამგა, რომელშიც „დავითიანი“ იდო და ბატონიშვილი მას ცურვით დაეწია“, – ჰყვება რაულ ჩილაჩავა.

„მობრძანდი, მნახველო“

ამის შემდეგ დავით გურამიშვილი მალევე გარდაიცვალა, 1792 წელს, 87 წლის ასაკში.

მას შვილი არ ჰყავდა და ამიტომ თავადვე იზრუნა საფლავის წარწერაზეც და ანდერძზეც (ეს ორივე ლექსად აქვს დაწერილი). უცხოეთში გადახვეწილი მოხუცი ცდილობდა, მოსაგონებლად რამე დაეტოვებინა, ამიტომაც ოცნებობდა ისეთ სარწყავზე, რომელიც ხორბლის ველებს გვალვაშიც მიაწვდიდა წყალს და ხალხს დააპურებდა.

„მოიხსენე, უფალო, სჯად შენდა მოსული, დავით გურამისშვილის უბადრუკი სული“, – წერს ის ერთგან, სხვა ლექსით კი საკუთარ განსასვენებელზე „წუწუნებს“. ზედაზნისა და შიო მღვიმის მონასტრებში „სახლ-გალავნებით დამშვენებული“ ძვალთშესალაგი მქონდა და ახლა რის ამარა ვრჩებიო:

„ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!
ხორცით აქ ვლპები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მოსული!
ვით მე არ მინდო ცრუვმან საწუთრომ,
ეგრეთვე, ვგონებ, არცა შენ გინდოს,
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!“

დავით გურამიშვილის საფლავი 150 წელი დაკარგულად ითვლებოდა. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მის მოძებნას შეეცადა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, ამ მიზნით ის ხარკოვსა და პოლტავაშიც ჩავიდა.

„ვერ მიაგნო, მაგრამ ძალიან დააინტერესა უკრაინელი მწერლები, პავლო ტიჩინა და მიკოლა ბაჟანი. მათი დავალებით ლიტერატურათმცოდნე დმიტრო კოსარიკმა დიდხანს იმუშავა არქივებში და მიაკვლია ჩანაწერს გურამიშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ. შემდეგ მოძებნეს კაცი, რომელმაც თქვა, აქ, სასაფლაოზე თუჯის ფილა იყო და ზედ „კნიაზ დავიდ გურამოვი“ ეწერაო“, – ამბობს რაულ ჩილაჩავა.

ამ ადგილას ამჯერად სტელაა აღმართული, დგას დავით გურამიშვილის ბიუსტი, ყვავილები მიაქვთ. მისი სახელიც ყველას ახსოვს, ოღონდ წისქვილის გამო არა – „დავითიანის“.

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

პატიებას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება...

სასეძსის ჰერცოგინიას, მორიგ ინტერვიუში, სამეფო ოჯახთან და საკუთარ ნათესავებთან ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს, რის პასუხადაც, მარკლმა განაცხადა, რომ „პატიებას დიდი ძალისხმევა სჭირდება“. მარკლის თქმით, მისთვის და მისი მეუღლისთვის, სამეფო ოჯახის წევრის სტატუსზე უარის თქმა მარტივი არ ყოფილა.

ჰარისა და მეგანს სამეფო ოჯახთან დაპირისპირებაზე არაერთხელ უსაუბრიათ. მათი მტკიცებით, ოჯახის წევრები დიდ ინტერესს იჩენდნენ მათი მომავალი ბავშვის კანის ფერის მიმართ და ხშირად ეკითხებოდნენ მათ, რამდენად მუქი ფერი შეიძლება ჰქონოდა ახალშობილს. მეგანის მტკიცებით, სასახლეში ის თავს მარტოსულად გრძნობდა, რის გამოც სუიციდზე არაერთხელ უფიქრია, ჰარის კი მამასთან იმდენად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რომ პრინცი ჩარლზი მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. მარკლს საკუთარ მამასთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს.

სოხუმზე ფიქრმა გადამიყოლა!..

წინათქმა

ლიდა (ლილი) ჯანგველაძის ადრე თუ ახლახან გამოცემულ ლექსთა კრებულებს კარგად ვიცნობ და რამდენად მისასალმებელია, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ყველაფერს გამორჩეულ ყურადღებას აქცევს, თუმცა მისი ძირითადი თემაა დევნილების მდგომარეობა, რომლებიც მთელ საქართველოში არიან მიმობნეული. აფხაზეთიდან გამოძევებულებს ეგონათ, მალე დაბრუნდებოდნენ თავიანთ კუთხე-მამულში და, ამდენად, ისინი არ თაკილობდნენ, სად ჩაასახლებდნენ დროებით. სამწუხაროდ, ეს პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა და მათი დაბრუნებაც ვერა და ვერ მოხერხდა.

პოეტი ქალი ადრე გამოშვებულ კრებულში „გული გოდებს“ მწარედ განიცდის თავისი ხალხის უკუღმართობას და ამბობს:

„„...გული ვერ მორჩა გოდებას,
ვერ დავივიწყე წარსული,
ლოდივით სულში ჩამოწვა
მძიმე დღეები წარსულის“...

ქალბატონი ლიდა ჯანგველაძე ერთ-ერთ ლექსში გულისტკივილით კითხულობს, როდის გამთლიანდება ეს დაგლეჯილი, ნაწილებად დაყოფილი საქართველო:

„მიყვარს ჩემი საქართველო,
მასზე ლოცვა არ მწყინდება,
დაგლეჯილი ნაწილებად,
ნეტავ როდის გამთელდება“?!.

სოხუმზე ფიქრი არ შორდება პოეტ ქალს და „მონატრებაში“ ასე იხსენიებს:

„სოხუმზე ფიქრმა გადამიყოლა
და მე გავყევი დარდებს“...

თვით სოხუმელ გულის სწორს ასე ელაპარაკება ლექსში „წლები გარბიან“:

„წამი წამს მისდევს, წუთი წუთს,
წლები გარბიან, მჯერა
მაგრამ ჩემს გულში იცოდე,
არ უთოვია ჯერაც,
დიდი ხანია დაგეძებ
და დავიღალე დევნით,
შენ გული არ დაიმშვიდო
არ მოგეშვები ნებით.

პოეტი ქალი ერთ მშვენიერ ლექსში ომს ზეცაში გაურბის:

„შენს დანახვაზე ჩემს გულსა,
სხვაგვარად გააქვს ძგერაო,
ვხედავ, ფიალა ამევსო,
არ მსურს შორიდან ცქერაო,
ოქროს გალიას შეგიკრავ,
შიგ ჩაგსვამ, როგორც განძსაო
და გულში მაგრად ჩაგიკრავ,
არ მოგაშორებ თვალსაო,
სულ მაღლა, მაღლა გაგარებ,
ცაში აგიგებ კოშკსაო,
იქ დამშვიდებით ვიცხოვროთ,
არვინ დაგვიწყებს ომსაო“.

პოეტი არ იშურებს გულწრფელ სტრიქონებს იმ მეგობრებსა და ახლობლებზე, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აფხაზეთში, შემდეგ მათ ნაწილთან ერთად ხვდება თბილისში და განაგრძობს მათთან ურთიერთობას.

დღეს, ღვაწლმოსილი პოეტი ქალის, ცნობილი ბიბლიოთეკარის და საგზაგადო მოღვაწის დაბადების დღეა. გულწრფელად ვულოცავთ და მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს ბოლო წიგნიდან.

სიმონ ზაქარაია,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრი.

ლიდა (ლილი) ჯანგველაძე

ამაყად დავიარები

საქართველოში მე მუდამ
ამაყად დავიარები,
აღარ მსურს, ჩემი სამშობლო,
რომ იყოს ნაიარევი,
უფალს ვთხოვ, ამ ქვეყანაზე
ყველგან სიმშვიდე სუფევდეს
და არვინ, ძირძველ ქართველებს
ოჯახებს აღარ გვინგრევდეს...

აფხაზეთი დაბრუნდება

ეს დღეები ისე გარბის
როგორც კინოს კადრები,
დროს ვერავინ შეაჩერებს,
წარსულით ვერ დატკბები...
აფხაზეთი იტანჯება,
აფხაზეთი გმინავს,
ღმერთმა ნუ ქნას, ამ ტკივილმა
რომ გასტანოს დიდხანს
...აფხაზეთი დაბრუნდება,
ჩვენი ტკბილი მხარე,
აფხაზეთი დაბრუნდება,
დაბრუნდება მალე!..

დაფიქრდით

ჩვენ ვართ მარიონეტები,
ვიღაც შორიდან გვმართავს,
დაფიქრდით, უმალ მიხვდებით,
რომ გეუბნებით მართალს...

ცრემლი

არ ვიცი, ვის რა შევჩივლო
ცრემლი არ შრება თვალზედა,
სულ დიდ სოფელში წავიდნენ,
ვინც მე მერჩია თავზედა...

მწარე ენა

არ მინდა ენით სიკვდილი,
რომ დამეტანჯოს სული,
მე მირჩევნია, რომ ტყვიით
მსწრაფლ განმიგმირონ გული...

თენდება

ღამეა, სანთლის შუქი მამშვიდებს,
სანთელი იწვის და იღვენთება,
წამოტივტივდა ფიქრები თავში
ვხედავ, ნელ-ნელა როგორ თენდება.

დატრიალდა ქარიშხალი

საქართველო მოიცვა
სიბნელემ და უკუნმა,
სამართალი სადაც იყო
დატრიალდა უკუღმა,
ამოვარდა ქარიშხალი
„დედაენა“ წაბილწეს,
უცხო თესლი გაახარეს
შინაური გარიყეს,
აფხაზეთის მიწა-წყალი
ნაკუწ-ნაკუწ გაყიდეს!..

კატებს აყეფებენ

თავისუფალ საქართველოს
სულ ვარდები აკრეფინეს,
ძაღლებსაც მუსრი გაავლეს,
და კატებსაც აყეფინეს,
ამ სურათის შემხედვარეს,
მიჯობდა მტერს მოვეკალი,
ბედაურები დახოცეს,
ვირებს დარჩათ მოედანი...

ზღვას მივაშურე

დილით ადრე მივაშურე ნაპირს,
გულისყურით მე გავცქერი ზღვას,
ზღვის ტალღებმა ისე გამიტაცეს,
ჩემს გარშემო ვეღარ ვხედავ სხვას...
დილის ზღვა ხომ წმინდაა და სუფთა,
თითქოს ახლა დაბადებულაო.
რაც ოდესმე ცოდვა ჩაუდენია,
არაფერი მას არ დაბრალებულაო...

ითელება საქართველო

მიყვარს ჩემი საქართველო,
მასზე ლოცვა არ მწყინდება,
დაგლეჯილი ნაწილებად,
ნეტავ, როდის გამთელდება...
პარტიები, პარტიები,
ყველა ერთმანეთის მტერი,
ერთურთ ბრძოლა გაუმართავთ,
სხვადასხვა აქვთ იდეები,
ითელება საქართველო,
ღია არის ნატოს კარიც,
გვიშვებენ და არც გვიშვებენ
არვინ არის გამკითხავი...



ტკბილი ენა

„ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის
პატარა და რბილი ენა“
აპაპი

თუ გიყვარს შენი სამშობლო
და გსურს გადარჩეს ერი,
შენი მტერიც შეიყვარე
და დააბი ტკბილი ენით.
ვერც ლანძღვით და ვერცა ცეცხლით,
ვეღარ მოიშორებ მტერსა,
შენი სწორი საქციელით
გადაარჩენ ტანჯულ ერსა...

დედა შეუცვლელია

ვინმე თუკი გეფერება,
განა ყველა წრფელია,
მხოლოდ დედის ალერსი,
არის მარგებელია...
გამზრდელ დედას ვერვინ შეცვლის
ის ხატი და ღმერთია,
უფლის შემდეგ დედა არის
მართლაც ერთადერთია...

თვალების ფერი

როს დაგინახე, მსწრაფლ მოვიხიბლე,
გულმა დამიწყო ძალუმად ცემა,
ვეღარ ვიძროდი მე ადგილიდან,
ჩემმა თვალებმა დაგიწყეს ცქერა,
გიყურებდი და სულს ვიმშვიდებდი,
იყავ წარმტაცი და მშვენიერი,
მე არასოდეს დამავიწყდება,
შენი ლამაზი თვალების ფერი...

ასეთია ცხოვრება

დახუჭა თვალი და გაქრა ზღვარი,
ცხოვრება ალბათ ასეთი არის...
ყველა ტკივილი გულში გროვდება,
და იქ იწყება მწარე გოდება,
გული ვერ უძლებს ამდენ იარებს,
მჯერა, ოდესმე გამოიდარებს...

გული ტირის

ჩემი გული ტირის, ტირის,
აღარ ჩერდება,
ვფიქრობ, ვფიქრობ, ვეღარ მივხვდი
რა მეშველება...
დრო კი გარბის, გარბის, გარბის,
ვერვინ ეწევა,
ალბათ უფსკრულს მიადგება,
გადიჩეხება...
აღარ მინდა ეს ცხოვრება,
ძლიერ მაწვალებს,
მაგრამ ვერას, ვერას ვხვდები,
და ეს მადარდებს...
მე არ ვიცი, ვის მივმართო,
ვისთან ვიჩივლო,
ჩვენ ყველანი ერთ დღეში ვართ,
მოდით, ვილხინოთ!..

გაშიფრეს 4000 წლის წინანდელი იდუმალი წარწერები?..

შეიძლება საბოლოოდ გაიშიფროს იდუმალებით მოცული დამწერლობის სისტემა, რომელსაც ელამის ხაზოვან დამწერლობას უწოდებენ და თანამედროვე ირანის სამხრეთ ნაწილში ძვ. წ. 2300-1800 წლებს შორის იყენებდნენ. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი მაინც სკეპტიკურად არის განწყობილი.

ჩვენამდე ელამის ხაზოვანი დამწერლობის მხოლოდ დაახლოებით ორმოცმა ნიმუშმა მოაღწია, რის გამოც, ამ დამწერლობის გაშიფვრა რთულია. თუმცა, მკვლევრები აცხადებენ, რომ ეს მაინც შეძლეს. გაშიფვრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ვერცხლის ჭიქებზე არსებული რვა წარწერა. ელამის ხაზოვან დამწერლობაზე შესრულებული სხვადასხვა წარწერები სხვა მკვლევრებმა წარსულშიც გაშიფრეს; ახალი კვლევის ავტორებმა საკუთარი ნაშრომი სწორედ წინა კვლევებს დააფუძნეს – ელამის ხაზოვან დამწერლობის რვა წარწერა შეადარეს დაახლოებით იმავე პერიოდის ლურსმულ ტექსტებს, რომლებიც სავარაუდოდ იმავე მმართველთა სახელებსა და ტიტულებს იხსენიებდა; ამას გარდა, ამ მმართველთა დასახასიათებლად, სავარაუდოდ იყენებდა ზოგიერთ იგივე ფრაზას. მკვლევართა განცხადებით, მათ განსაზღვრეს, რას ნიშნავდა სხვა მრავალი დამატებითი ნიშანი, მაგრამ ელამის ხაზოვანი დამწერლობის ნიშნების დაახლოებით 3,7 პროცენტი მაინც გაუშიფრავი დარჩა. სხვადასხვა ბგერას ელამის ხაზოვან დამწერლობის 300-ზე მეტი სიმბოლო აღნიშნავს; მაგალითად, მკვლევრები ამბობენ, რომ ნახევარმთვარის ნიშანი გამოითქმის, როგორც „პა“.



ჯგუფმა ერთი მოკლე ტექსტი ასე გადათარგმნა: **„პუზურ-სუშინაკი, ავანის მეფე, ინსუშინაკს (ღვთაება) ის უყვარს“. ტექსტში იქვე წერია, რომ ნებისმიერი, ვინც პუზურ-სუშინაკს აუჯანყდება, „განადგურდება“.**

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ კომპლექსური ტექსტების უფრო მეტი თარგმანი მომავალში გამოქვეყნდება.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ასირიოლოგიის პროფესორი, ჯეიკობ დალი, რომელიც ამ კვლევაში ჩართული არ ყოფილა, გამოცემა live Science-თან საუბრისას ამბობს, რომ არ არის დარწმუნებული, რომ ჯგუფმა წარწერები წარმატებით გაშიფრა.

დალი მუშაობს სხვა დამწერლობაზე, რომელსაც „პროტო-ელამურს“ უწოდებენ და არ ეთანხმება ახალი კვლევის ავტორებს, რომლებიც აცხადებენ, რომ პროტო-ელამურსა და ელამის ხაზოვან დამწერლობას ახლო კავშირი ჰქონდათ. მართალია, გაშიფვრისთვის საკვანძო რვა წარწერიდან არც ერთი არ არის კონარ-სანდალზე აღმოჩენილი, მაგრამ დალის განცხადებით, კითხვებს ბადებს ის ფაქტი, საერთოდ რატომ გამოიყენეს ანალიზებში კონარ-სანდალზე აღმოჩენილი არტეფაქტები.

კვლევა ჟურნალ Zeitschrift fur Assyriologie und Vorderasiatische Archaologi-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია Live Science-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაგუკაშვილი

დიახ, დიახ, – რაც გინახავთ, ველარ ნახავთ!

(მესამე გვერდიდან) „რამდენიმე დღის წინ წავიკითხე ინტერვიუ დავით თევზაძესთან, სადაც ის დეტალურად აღწერს, როგორ და ვისი მხარდაჭერით მზადდებოდა 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია“.

ამონარიდები ინტერვიუდან:

— „დაზვერვის სამმართველოდან მივიღე ანგარიში, სადაც მოცემული იყო ელჩთან (რიჩარდ მაილსი) სააკაშვილის შეხვედრა. ერთი დეტალი იყო საინტერესო... სააკაშვილს უთქვამს ასეთი ფრაზა — „ყველაფერი, რომ ძალიან სწრაფად და კარგად დასრულდეს, სულ 10 გვამია საკმარისი“. თავიდან, ეს არ მივიღე სერიოზულად, მაგრამ მერე თვითონ ელჩმა მოითხოვა ჩემთან შეხვედრა.“

— „აშშ-ის ელჩი დიპინებით მთხოვდა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ავყოლოდით ცდუნებას და სამხედრო ძალა რაიმე ფორმით არ ჩაგვერთო პროცესებში, ვინაიდან იყო საშიშროება.“

— „იარაღი იყო, და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც.“

— „ამერიკელების წინადადება იყო, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგების გადახედვა უნდა მომხდარიყო, მაგრამ პრეზიდენტს თავისი ვადა უნდა დაესრულებინა“.

— „23 ნოემბერს, ბადრი ბიწაძე მოვიდა ჩემთან, ახალი გადამდგარი იყო. პირისპირ დავჯექით, ვუყურებთ ერთმანეთს. მე უკვე ვხვდები, რა უნდა ეთქვა... ველოდები, რა ფორმით იტყვის. არ გეწყინოს, დავით, დამავალეს, რომ შენ რაღაც უნდა გითხრა, მაგრამ ვერ გკადრებო... რამდენიმე საათში მოხდა უფრო საინტერესო რამ... მორიგე ოფიცერმა მომახსენა, რომ ჩემთან მოსულია ორი კაცი და მითხრა გვარები — გიგი წერეთელი და ასევე დამისახელა ჩემი უახლოესი მეგობრის გვარი“.

— „წერეთლის შემოთავაზება იყო, რომ ხალხი მე მელოდება, რომ გავაკეთებ განცხადებას — არ ვექვემდებარები შევარდნაძეს, მერე ყველაფერი მთავრდება და ხვალიდან იქნები საქართველოს გმირიო. მე შევეცადე გიგისთვის ამეხსნა, რომ გმირობის სხვადასხვა გაგება არსებობს და რომ ჩემი მხრიდან ეს იქნებოდა ცუდი საქციელი. თეორიულ დისკუსიაში ვართ და ამ დროს ძალიან საინტერესო რამ მოხდა...

რუსეთის გენერალური შტაბიდან დაუკავშირდნენ გენერალ იმნაძეს, ზუსტად არ მახსოვს მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი, თუ გენერალური შტაბის უფროსი. ჯერ სიტუაცია იკითხეს და მერე უთხრეს, რომ ყურადღება მიაქციეთ მინისტრ ივანოვის ვიზიტს, შეიძლება უკვე თქვენთან იყოს და იცოდეთ, რომ ძალაუფლება იცვლება აფხაზეთზეო „Власть меняется на Абхазию“. გიგის რეაქცია იყო ასეთი - წამოხტა, ეს პროვოკაცია არისო და გაიქცა.“

— „პირველი ნიშნები იმისა, რომ ეს შეიძლება სამართლე ყოფილიყო, გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაიწყეს ხევსურეთში, სვანეთში და კოდორის ხეობაში ჩვენს მიერ შექმნილი ბატალიონების განიარაღება. განსაკუთრებით - კოდორის ხეობაში... ის საერთაშორისო კონვენციები, რომლითაც ჩვენ მაშინ ვხელმძღვანელობდით, კონფლიქტის ზონაში რეგულარული შეიარაღებული ძალების შეყვანას გვიკრძალავდა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა სრული უფლება, რომ ყოფილიყო თავდაცვისათვის ორგანიზებული. ამათ კურატორობას არავინ გვიკრძალავდა. არსებობდა დაჯგუფება, რომელიც ჩვენ გადავახალისეთ, ჩამოვიყვანეთ, წვრთნა გავატარეთ, დავუნიშნეთ ოფიცრები და გვარდიის სარდლობას დავუქვემდებარეთ“.

— „კოდორში რეგულარული სამხედრო ნაწილის გამოჩენა იყო პროვოკაცია. გაეროს ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა, რომ ჩვენ ვარღვევდით ხელშეკრულებას. გაეროს მანდატით აღჭურვილი იყო რუსეთის ჯარი, რომელსაც ხელ-ფეხი ეხსნებოდა, შეეძლო შემოსულიყო ხეობაში და განსხვავებით 2001 წლისაგან, ვერაფერს ეტყოდი - მისი ჩარევა ლეგიტიმური იქნებოდა. მაშინ გამოჩნდა იმის კონტურები, რომ შეიძლება იმ ზარის უკან რაღაც იდგა.“



დავით თევზაძე: **სააკაშვილს უთქვამს ასეთი ფრაზა — „ყველაფერი, რომ ძალიან სწრაფად და კარგად დასრულდეს, სულ 10 გვამია საკმარისი“.**

— „იარაღი იყო, და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც.“

— „ამერიკელების წინადადება იყო, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგების გადახედვა უნდა მომხდარიყო, მაგრამ პრეზიდენტს თავისი ვადა უნდა დაესრულებინა“.

ამას მოყვა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები. ცხინვალის რეგიონში 125 ქართულ სოფელზე და, ასევე, კოდორის ხეობაზე საქართველომ დაკარგა კონტროლი.

რამდენიმე კვირის წინ, „ალიაში“ გამოქვეყნდა უცნობი, გადამდგარი ძალოვანის ინტერვიუ, სადაც რამდენიმე საინტერესო გზავნილი იყო:

— „2021 წლის 1 ოქტომბერს, ამერიკელებმა სააკაშვილი შემოიყვანეს საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად“. გეგმის ჩავარდნის შემდეგ “მას უთხრეს, რომ ერთი საარჩევნო ციკლი უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკას.“

— „2022 წლის სექტემბერში, შეიქმნება მესამე ძალა, რომელსაც დაუფუძნებს საზღვარგარეთ მცხოვრები 5 ქართველი. მოლაპარაკებები დამთავრებულია. პარტიას ექნება 300 მილიონის დაფინანსება და წინააღმდეგობას გაუწევს ივანიშვილის ფინანსებს. სექტემბერ-ოქტომბერში იქნება გამოსვლები რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით და ეს ხელისუფლება შეიცვლება.

ივანიშვილი გაუწევს წინააღმდეგობას, სისხლსაც დაღვრის, მაგრამ მას ან დაასანქცირებენ, ან დაიჭერენ, თუ არ გაასწრო ქვეყნიდან.“

ბოლო თვეების განმავლობაში გასაოცარი ფაქტების წინაშე დავდექით. ის, რაც აქამდე მოვლენათა ანალიზის საფუძველზე ვიცოდით, გახდა ხილული და ახლა, ყოველდღიურად ვუყურებთ პოლიტიკურ დრამას თუ ტრაგიკომედიას (ვისთვის როგორ), რაც სავარაუდოდ, მიგვიყვანს პოლიტიკური პროცესის უკიდურესი დაძაბვისა და ხელისუფლების დამხობის უფრო სერიოზული მცდელობებისკენ.

* * *

ზემოაღნიშნული ინტერვიუ დავით თევზაძესთან ადასტურებს, რომ ჩრდილოელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის დაგეგმვასა და განხორციელებაში გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ. არც ამჯერად ვართ მოკლებულნი ამგვარ გარიგებებსა თუ იძულებას.

ამიტომ, ვისაც ჰგონია, რომ თუ ბიძინა ივანიშვილს დაასანქცირებენ ან ქვეყნიდან გაუშვებენ, ხელისუფლებას დაამხობენ და თავი ძუდში აძვთ, უნდა იცოდნენ:

როგორც კი, ისევ გარედან მოხდება პოლიტიკური პარტიების შექმნა-დაფინანსება-მხარდაჭერა;

როგორც კი, კრიმინალურ-დესტრუქციული ძალები ისევ დაიწყებენ პროცესების ძუჩაში დაძაბვას;

როგორც კი, საფრთხე დაემუქრება სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობას;

ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, გამოვალთ გარეთ და არ დავუშვებთ ქვეყნის მტრების ხელისუფლებაში მობრუნებას.

ეს არ იქნება „ძართული ოცნების“ მხარდაჭერა. ეს იქნება საძართველოს გადარჩენა კრიმინალურ-მარიონეტული „კოალიციური“ ძალების ხელისუფლებაში მოსვლისაგან.

ხელისუფლების წყაროა ძართველი ხალხი და არა, რომელიმე პიროვნება, სხვა ქვეყანა ან მისი საელჩო.

ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც უნდა იცოდეს, რომ არც ბიძინა ივანიშვილია საძართველო და არც „ძართული ოცნება“. მათ გარეშეც, თითოეული ჩვენგანი მზად ვართ, არ დავუშვათ ხელისუფლებაში კრიმინალური ბანდის დაბრუნება.

რაც გინახავთ, ველარ ნახავთ! ეს საძართველოა!“ — წერს **მაიკო ელოშვილი** Facebook-ზე.

რუსეთ-აფაზეთის დაპირისპირება მწვავდება

(მეხუთე გვერდიდან) **„წლობით გვაჩვევდნენ იმას, რომ ხმა არ ამოგველო, რაც არ უნდა ეკეთებინათ რუსებს. გვაშინებდნენ, რომ რუსეთი წამში გაგვანადგურებდა, თუ წინააღმდეგობას გავუწევდით. შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს ისინი იღებენ ჩვენს ნაცვლად გადაწყვეტილებებს და აზრს აღარც გვეკითხებიან. ეს უნდა შეწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ მიწაზე სტუმრებად ვიქცევით!“,** — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე სამსონი.

„როცა პირობით რუბლად რუსებს ჰექტრობით მიწას აძლევდნენ სამხედრო ბაზებისთვის, ბევრი ჩვენი მოქალაქე აღფრთოვანებული იყო და გაჰყვიროდა, რომ ეს ჩვენს სასიკეთოდ კეთდებოდა. როცა ვიღაც რუს ჩინოსნებს ჰექტრობით მიწას სჩუქნიდნენ, იგივე ხდებოდა. ახლა რა გამოდის? — გვთხოვენ, რუსებს მთელი აფხაზეთი გადავცეთ? და ვისთვის იქნება ეს სასიკეთო — მათთვის თუ ჩვენთვის?! დავიჯერო, კიდევ არსებობენ ჩვენში ადამიანები, რომელთაც არ ესმით, რომ რუსეთი სამშობლოს გვართმევს?! მალე უსახლოდ დავრჩებით!“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი მარია.

„როცა რუსულ პასპორტებს გვირიგებდნენ, პენსიებისა და შემწეობების გადახდა დაიწყეს, ვამბობდი, რომ ეს სიკეთით არ დასრულდებოდა. მაგრამ დამშეულ ხალხს გაუხარდა ეს შესაძლებლობა, რამენაირად მაინც ერჩინა თავი და არავის უფიქრია, რა შედეგით შეიძლებოდა, დასრულებულიყო რუსების ასეთი ქველმოქმედება. ახლა რუსეთი ფასის გადახდას გვთხოვს — წინაპრების მიწას!“, — თვლის ჩვენი თანამოსაუბრე სტელა.

„როგორ გაბედა ელჩმა, სამშობლოს მოღალატეებს შევედარებინეთ?! ეს რა ტონია? ვინ მისცა უფლება, აფხაზეთის მცხოვრებთ ამ ტონით ესაუბროს?! დავიჯერო, რუსეთში გამოელიათ გონიერი და პროფესიონალი ადამიანები, რომელთაც ძალუძთ, შეაჩერონ ეს განუკითხაობა?“, — ამბობს ჩვენი რესპონდენტი გენადი.

„რუსეთი ცდილობდა ჩვენს შეთრევას თავის შემადგენლობაში, მაგრამ მაშინ წინააღმდეგობა გავუწიეთ. მათაც პირობებს გადახედეს და საკითხის გადაჭრისადმი მიდგომა შეიცვალეს: გადაგვაგდეს ვალებში, ხაფანგში შეგვიტყუეს ლამაზი ზღაპრებით ნათელი მომავლის თაობაზე და ახლა, გამოდის, ნებისმიერ მათ ხუშტურს უნდა დავემორჩილოთ? სად გაძრა რუსეთის ვალდებულებები, რომელიც მას მთელი მსოფლიოს გასაგონად აძვს გაჟღერებული? გამოდის, რუსებს იმთავითვე ჰქონდათ აფხაზეთის ხელში ჩაგდებისა და აფხაზების საკუთარი მიწიდან აყრის გეგმა“, — აღშფოთებულია ჩვენი თანამოსაუბრე რუფინა.

მთლიანობაში, რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობებში ბზარი გუშინ არ გაჩენილა. ელჩმა შურგალინმა მხოლოდ გაახმოვანა მისთვის მოსკოვში მიცემული მითითებები და მხოლოდ გაამძაფრა ისედაც არსებული უთანხმოება. ყველას ახსოვს, რომ აფხაზური მხარის მთავარი უკმაყოფილება დაიწყო იმ პერიოდში, როცა რუსეთი აფხაზური კანონმდებლობის რუსულთან ჰარმონიზებას შეეცადა. ჯერ კიდევ მაშინ არაერთი ექსპერტი და საზოგადო მოღვაწე საუბრობდა რისკებზე, რომლებიც შეესაძლოა, დამღუპველი ყოფილიყო რესპუბლიკისთვის. მაგრამ მათ ცოტა თუ უსმენდა. ჰარმონიზების გეგმა ნელა, მაგრამ მტკიცედ ისხამდა ხორცს და მის საბოლოო შედეგად, მაღალი ალბათობით, იქცევა აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დასასრული.

აფხაზეთში ჯერ კიდევ არიან ისეთები, ვისაც სჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქმის კურსში არაა რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების თაობაზე. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსგავსი რამ შეუძლებელია. თუმცა რომც წარმოვიდგინოთ, რომ პუტინს ეხლა აფხაზეთისთვის არ სცხელა, მაშ ვინ არეგულირებს ამ საკითხს და რატომ უბიძგებს ეს „ვიღაც“ აფხაზებს განადგურების გზისკენ?

ასეა თუ ისე, ვითარება სავალალოა. ერთ მხარეს არიან აფხაზები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მზადაა, შეაკვდეს, მაგრამ რუსებს სამშობლო არ გაანადგურებინოს, ხოლო მეორე მხარეს — რუსები, რომელთაც არც აფხაზები ადარდებთ, არც მათი სწრაფვა, აშენონ საკუთარი მომავალი. კრემლს მკაფიო გეგმა აქვს და აფხაზებისთვის მასში მდუმარე უუფლებო თოჯინების როლია განსაზღვრული.

კრისტინა ავიძბა

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება

გაერო ჩინეთს ადანაშაულებს

კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული — გაერო ჩინეთს ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევაში ადანაშაულებს. საუბარია მუსლიმი უიღურებისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების შესახებ მომზადებულ ანგარიშზე, რომელზეც პეკინი მოუწოდებდა გაეროს, არ გამოექვეყნებინა მასალა და დასავლეთის მიერ მოწყობილ ფარსს უწოდებს.

გამომძიებლები აცხადებენ, რომ მათ აღმოაჩინეს წამების ისეთი „სანდრო მტკიცებულებები“, რომლებიც უტოლდება „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს“.

ისინი ადანაშაულებენ ჩინეთს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ბუნდოვანი კანონების გამოყენებაზე უმცირესობების უფლებების შეზღუდვისა და უკანონო დაკავებების სისტემის დასამკვიდრებლად. ანგარიშში საუბარია, რომ პატიმრები გახდნენ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, რაც მოიცავდა სექსუალური და გენდერული ძალადობის ინციდენტებს.

ასევე, გახდნენ იძულებითი სამედიცინო ჩარევის მსხვერპლი, კერძოდ, „ოჯახის დაგეგმვისა და შობადობის კონტროლის პოლიტიკის დისკრიმინაციული აღსრულების“ მსხვერპლი. გაეროს რეკომენდაციაა, რომ ჩინეთმა დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები აღნიშნული პირების გასათავისუფლებლად. გაეროში აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ ზუსტი ცნობა, თუ რამდენი ადამიანი ჰყავს დაკავებული ხელისუფლებას. ადამიანის უფლებადამცველი ჯგუფები მილიონზე მეტ პირზე საუბრობენ, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით სინძიანის პროვინციაში ბანაკებში ჰყავთ განაწილებული.

სინძიანში 12 მილიონამდე უიღური ცხოვრობს და უმეტესობა მუსლიმია, თუმცა გაეროში ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, არამუსლიმი უიღურებიც იყვნენ დაზარალებული. პეკინი, რომელმაც აღნიშნული ანგარიში წინასწარ იხილა, ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ აღნიშნული ბანაკები ტერორიზმთან ბრძოლის ინსტრუმენტია.

ყაზახეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა 2022 წლის შემოდგომაზე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. ამის შესახებ მან ყაზახი ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა.

„სამართლიანი ყაზახეთის მშენებლობის გზაზე კარდინალური და ყოველმხრივი რეფორმების წარმატებული რეალიზებისთვის აუცილებელია მოსახლეობის ნდობის ახალი მანდატი. ჩემთვის სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ მზად ვარ, შევამცირო ჩემი უფლებამოსილების ვადა და რიგგარეშე არჩევნებზე ვიყარო კენჭი“, — განაცხადა თოყაევმა.

გარდა ამისა, ის გამოვიდა ინიციატივით, საპრეზიდენტო ვადა 5-დან 7 წლამდე გაიზარდოს, მეორე ვადით არჩევა კი აიკრძალოს. თოყაევმა ასევე გამოაცხადა ამნისტია ყაზახეთში იანვარში საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთათვის, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მძიმე დანაშაულებისთვის არიან გასამართლებულები.

„ლუკოილის“ თავკაცის თვითმკვლელობა

„ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რავილ მაგანოვი მოსკოვში საავადმყოფოს ფანჯრიდან გადავარდა და გარდაიცვალა.

67 წლის რავილ მაგანოვი მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, მეექვსე სართულზე მდებარე განყოფილებაში მკურნალობდა. გავრცელებული ინფორმაციით, რავილ მაგანოვმა შესაძლოა თავი მოიკლა, თუმცა ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არავინ ადასტურებს. ოფიციალური კომენტარი „ლუკოილში“ ამ დრომდე არ გაკეთებულა.

რეფერენტული ფასი წამლებზე

– რას ნიშნავს და რას შეცვლის?!

მედიკამენტებზე ფასის დასაწევად საქართველოს მთავრობა ახალი წესების შემოღებას გეგმავს. დადგინდება რეფერენტული ფასი, რაც ხელისუფლების დაპირებით, წამლებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

— რას ნიშნავს რეფერენტული ფასი?

— მედიკამენტის გასაყიდი ან საექსპორტო ფასის ზედა ზღვარი, რომელსაც სახელმწიფო ადგენს.

— როგორ გამოითვლება ზედა ზღვარი?

— იმავე წამალზე სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით.

— ყველა მედიკამენტზე დაწესდება ზედა ზღვარი?

— ყველა ქვეყანას თავისი მიდგომა აქვს, ზოგი შედარებით მცირე რაოდენობაზე აწესებს ზედა ზღვარს, ზოგი — მეტზე. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, სამინისტროს ამ ეტაპზე მედიკამენტების ჩამონათვალი არ აქვს, თუმცა პირველ რიგში ეს ქრონიკული დაავადებებისა და კიბოს სხვადასხვა ტიპის სამკურნალო წამლებს შეეხება. მეორე ეტაპზე კი — მთლიანად ბაზარს და „ნებისმიერ მედიკამენტს“.

— რამდენად გაიაფდება წამალი, რომელზეც რეფერენტული ფასია დაწესებული?

— სხვა ქვეყნების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, დაახლოებით 30-40 პროცენტით.

— კონკრეტულად რომელ ქვეყნებს გაუთანაბრებს საქართველო წამლების ფასს?

— ამ საკითხზე საერთაშორისო ექსპერტები ახლა მუშაობენ. მათი რეკომენდაციებით შეირჩევა ქვეყნები, რომელთა მიხედვითაც რეფერენტული ფასი უნდა დადგინდეს. ქვეყნის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მისი ადგილმდებარეობა, ეკონომიკა და მოსახლეობის რაოდენობა.

— როდის დაინერგება ეს სიახლე?

— ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, რეფერენტული ფასი, საპილოტო პროგრამით 2023 წლის იანვრიდან დადგინდება ქრონიკული დაავადებებისა და კიბოს სამკურნალო მედიკამენტებზე. შემდგომ რიგში იქნება სხვა მედიკამენტები.

— არის თუ არა რეფერენტული ფასების დადგენა ერთმნიშვნელოვნად კარგი?

— მედიკამენტებზე რეფერენტული ფასის შემოღება გამოცდილი მეთოდია და მას სხვადასხვა ქვეყანაში იყენებენ, თუმცა ყველა სხვადასხვანაირად. საქართველოში რეფერენტული ფასის დადგენას წინ უძღოდა 2022 წლის იანვარში საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომელმაც თურქული მედიკამენტების საქართველოში შემოტანა გაამარტივა.

— „თურქეთის ბაზრის გახსნამ ასობით წამალი გააიაფა, მაგრამ მარტო ეს ვერ გადაჭრის პრობლემას. საუბარი იყო იმაზეც, რომ გაფართოებულიყო იმ წამლების ჩამონათვალი, რომელსაც სახელმწიფო სუბსიდირებას უკეთებს, დღეს ასეთი მხოლოდ 23 პრეპარატია, მეტი უნდა იყოს“, — ამბობს ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში აკაკი ზოიძე და განმარტავს, რომ ეს ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი მეთოდია იმისთვის, რომ წამალი ხელმისაწვდომი გახდეს. ყველაზე მეტად მედიკამენტებში მაღალი ფასის გადახდა უჭირთ იმას, ვისაც წამალი ყოველდღიურად სჭირდება ანუ ქრონიკული დაავადებები აწუხებს: წნევა, გულის დაავადებები, ფილტვის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი. ნაწილს (მაგ: სოციალურად დაუცველებს) სახელმწიფო მედიკამენტებს უფინანსებს, მაგრამ უმეტესობა ვერც ერთ პროგრამაში ვერ ხვდება და წამალიც ისევ თავისი ფულით აქვს საყიდი. ზოგიერთ ქვეყანაში (მოლდოვა, აზერბაიჯანი), სადაც რეფერენტული ფასი ყველა მედიკამენტზე შემოიტანეს, პრობლემები შეიქმნა. კომპანიებს წამლების დაბალ ფასში გაყიდვა ხელს აღარ აძლევდათ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ თუ სახელმწიფო ქრონიკული დაავადებების მქონე პირების ნაწილს მედიკამენტს უყიდის (სუბსიდირებას გაუკეთებს), დანარჩენებს კი, რომლებიც პროგრამაში ვერ ხვდებიან, მედიკამენტზე რეფერენტულ ფასს შესთავაზებს, კომპანიას ისევ ექნება წამლის შემოტანის მოტივაცია.?

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

ზოგიერთი კულტურა ქალაქში მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე სოფლად

სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, როგორებიც არის კიტრი, კარტოფილი და სალათა, ოთხჯერ მეტ მოსავალს იძლევა საქალაქო ზონებში, ვიდრე სოფლებში. სოფლის მეურნეობის მომავლისთვის მნიშვნელოვანი ამ აღმოჩენის შესახებ ახალი კვლევა იუწყება.

ამჟამად, გლობალური საკვების 15-20 პროცენტი ქალაქებში მოჰყავთ, მათ შორის, პარკოსნების, ბოსტნეულისა და ბოლქვიანების 5-10 პროცენტი. თუმცა, კიდევ უფრო მეტი მონაცემია საჭირო იმის დასადგენად, შეუძლია თუ არა მზარდ ქალაქებს საკუთარი თავის შენახვა.

რადგან ქალაქური ცხოვრების წესი მთელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება, ახალი კვლევის ავტორებს სურდათ შეესწავლათ ურბანული სოფლის მეურნეობის, როგორც კვების უსაფრთხოების გაუმჯობესების გზის სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა.

„მზარდი პოპულარობის მიუხედავად, ურბანული სოფლის მეურნეობის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით. თუნდაც ის, არის თუ არა მოსავალი ისეთივე, როგორიც ტრადიციულ სოფლის მეურნეობაში, ანდაც ძირითადად რომელი კულტურები მოჰყავთ“, — ამბობს ბრიტანეთის ლანკასტერის უნივერსიტეტის გარემოს დაცვითი მეცნიერი ფლორიან პაიენი.

53 სხვადასხვა ქვეყანაში, 2000-ზე მეტ ადგილას აქამდე ჩატარებული 200 კვლევის ანალიზისას, ჯგუფმა გარკვეულწილად დაზუსტებული პასუხი მიიღო. მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი ასევე მოიცავდა როგორც ე. წ. რუხ სივრცეებს (მაგალითად, გზებს და სახურავებს), ისე მწვანე სივრცეებს (პარკებს და მიწის ნაკვეთებს).

აშკარა, გამარჯვებული არ გამოვლენილა იმ თვალსაზრისით, თუ რომელი ურბანული სივრცეა საუკეთესო კულტურების ზრდისთვის. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი კულტურა განსაკუთრებით კარგად ერგება ზრდის გარკვეულ გზებს.

მაგალითად, წყლიან ბოსტნეულს (მაგალითად, პომიდორი) და მწვანილებს მაღალი მოსავალი აქვთ ჰიდროპონიკურ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაცვლად წყალს იყენებენ. მკვლევართა დასკვნით, ისეთი საკვები, როგორიცაა სალათა, კომბოსტო და ბროკოლი ბუნებრივად უფრო მორგებულია ვერტიკალურად ზრდას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ურბანული სოფლის მეურნეობა ზოგიერთი კულტურისთვის სხვებზე მეტად უკეთესია.

„ჩვენდა გასაკვირად, მცირე სხვაობა აღმოჩნდა დახურული და ღია მწვანე სივრცეების მთლიან მოსავალში, მაგრამ აშკარა სხვაობა იყო კულტურების ტიპების სხვადასხვა რუხ სივრცესთან თავსებადობაში“, — ამბობს პაიენი.

უცნობი რჩება, რამდენად ეკონომიურია ურბანული სოფლის მეურნეობა სასოფლოსთან შედარებით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საკვების ზრდისთვის საჭირო, ძვირად ღირებული კლიმატ-კონტროლირებადი გარემო და საჭირო პერსონალი. ურბანული სოფლის მეურნეობის განვითარება შეიძლება მომგებიანი იყოს მრავალმხრივ; მაგალითად, უკეთესად ვიყოთ აღჭურვილი შემდეგ პანდემიაში გადასარჩენად, რათა შევამციროთ საკვების წარმოებისთვის საჭირო გარემოს ხარჯები.

შემდეგმა კვლევებმა შეიძლება გაარკვიოს, თუ რამდენად ადვილად შეიძლება გაფართოვდეს ურბანული მეურნეობის გარკვეული მეთოდები, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქალაქის დაბინძურებას კულტურების ხარისხზე. შესასწავლი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის, მაგრამ ახალი კვლევის სახით, დასაწყისისათვის უკვე გვაქვს კარგი საფუძველი.

კვლევა Earth's Future-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია news.agu.org-ისა და news.agu.org-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

◎ ხალიჩაზე

ოქროს დრო!

10-18 სექტემბერს სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც სრული შემადგენლობით გაემგზავრება საქართველოს ნაკრები გუნდები. წინასწარი განაცხადის მიხედვით, ბალკანურ ხალიჩაზე იასპარეზებენ:



თავისუფალი ჭიდაობა

ბექა ბუჯიაშვილი (57), თეიმურაზ ვანიშვილი (61), ბექა ლომთაძე (65), ზურაბ იაკობიშვილი (70), გიორგი სულავა (74), ვლადიმერ გამყრელიძე (79), ტარზან მაისურაძე (86), მირიან მაისურაძე (92), გენო პეტრიაშვილი (125).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ნუგზარ წურწუმია (55), ფრიდონ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), ჯონი ხეცურიანი (67), შმაგი ბოლქვაძე (72), იური ლომაძე (77), გელა ბოლქვაძე (82), რობერტ კობლიაშვილი (87), გიორგი მელია (97), იაკობ ქაჯაია (120).

ალბათ, გემახსოვრებათ, რომ შარშანდელი ფორუმიდან, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაიმართა, ჩვენი ფალავნები, მართალია, 8 მედლით დაბრუნდნენ, მაგრამ მათ შორის ოქრო არ ყოფილა (2 ვერცხლი, 6 ბრინჯაო), ასე რომ, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, ჯვაროსნებს ტიტულები მივუულოცოთ.

◎ ოვალური ბურთი

ელიტურ 4 ერში ისტორიული ფაქტი მოხდა — არგენტინამ, უკვე მეორედ, თანაც სტუმრად, ახალი ზელანდია დაამარცხა — 25:18, ქალაქ კრაისჩერჩში გამართულ აღნიშნულ ძლევაი საკვირველს კი პირველად კარიერაში ახალგაზრდა ქართველი მსაჯი ნიკა ამაშუკელი უძღვებოდა. მან საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

შეხვედრის გმირმა — ბოფელმა სტუმრებს 20 ქულა მოუტანა (6 საჯარიმო და გარდასახვა), რასაც სამსომ ლელოც დაუმატა. მართალია, ოლ ბლექსმა ორჯერ აიღო მეტოქის ჩათვლის მოედანი (ტაუკეიაჰო, კლარკი), მაგრამ ამან სენსაციური მარცხისგან ვერ იხსნა.

ავსტრალია - სამხრეთ აფრიკა 25:17.

სატურნირო მდგომარეობა: არგენტინა, ავსტრალია — 9-9, ახალი ზელანდია — 5, სამხრეთ აფრიკა — 4 ქულა.

◎ მეორე სუნთქვა

ძალა ერთობაშია!

19-25 სექტემბერს თბილისი ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს უმასპინძლებს.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები აღნიშნული მნიშვნელოვანი ტურნირისთვის სპეციალური პროგრამით ემზადება და ახლახან ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებიდან 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა(მწვრთნელები — **ნინო ნინოშვილი** და **გიორგი სარხოიანი**).

უკვე გამოკვეთილია გუნდის ძირითადი ბირთვი ასაკების მიხედვით, თუმცა უმთავრესი ის დადებითი ძვრები გახლავთ, რაც უკანასკნელ პერიოდში სპორტის ამ სახეობაში შეინიშნება.

პროგრესს განსაკუთრებით უწყობს ხელს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის (**გურამ გოგოლაძე**), მაგიდის ჩოგბურთის ლიგების გაერთიანების (**ბეჟან ბენდელიანი**) და აფხაზეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის (**ომარ პაპავა**) ნაყოფიერი თანამშრომლობა. თავის მხრივ, ლიგების სისტემა წარმატებით სწორედ ბოლო წლებში ვითარდება და 5 ლიგას აერთიანებს, მათ შორის — სუპერლიგას, სადაც პროფესიონალები თამაშობენ. რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკის ნაკრებს (**ამირან ჯინჭარაძე**), მას სავარჯიშოდ

უანგაროდ უთმობს დარბაზს სპორტკომპლექსი „განთიადი“ (**პაატა ანდრიაძე**), მის ბაზაზე კი ორი კლუბი ფუნქციონირებს — ცხუმი (ვაჟები) და დიოსკურია (გოგონები), ხოლო პირველი მერცხალია საქართველოს ვიცე-ჩემპიონი 11-წლამდელებში **ბარბარე სიხარულიძე**.

ისიც სათქმელია, რომ მთავრობის თავმჯდომარის **რუსლან აბაშიძის** თანადგომით დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ უბნებში არაერთი პროექტი განახორციელა და აფხაზეთის თასიც გათამაშდა, თუმცა კარგი იქნება, თუ ოფიციალურ პირებს ფედერაციის დაფინანსებაში სპონსორებიც ამოუდგებიან მხარში. მომავალ მიღწევათა იმედით კი შეგახსენებთ, რომ მაგიდის ჩოგბურთის მდიდარ ტრადიციებს დიდოსტატთა მთელი პლეადა უყრიდა საფუძველს, ხოლო მათ შორისაც კი გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის 23-გზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბათუმელი მრავალგზის პრიზიორი **სარქის სარხოიანი.**

◎ კორტზე

კრიზისი გრძელდება

ნიკოლოზ ბასილაშვილი აშშ-ის შარშანდელ ღია პირველობაზე მესამე წრემდე მივიდა, წელს კი ტურნირის 31-ე ნომერი რეიტინგის 178-ე ადგილისან 22 წლის ჩინელ იბინ ვუსთან თითქმის უბრძოლველად სტარტზევე დამარცხდა — 2:6, 4:6, 0:6, არადა, აქამდე ფლეშინგ მიდოუს კორტებზე ძირითად ბადეში არც ერთ ცისქვეშეთის წარმომადგენელს არ ჰქონდა ნათამაშები.

აზიელი იუნიორთა დონეზე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია და 2017 წელს თანატოლთა შორის ოკეანის გაღმა გამართულ დიდ სლემზე ისტორიული დუბლი აქვს შესრულებული როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შორის ტრიუმფით.

მან კვალიფიკაციის სამ რაუნდში ლიეტუველი ბერანკისი, იტალიელი ტრავალია და ფრანგი მოუტე დაამარცხა, მეორე წრეში კი პორტუგალიელ ნუნო ბორჟესს შეხვდება.

მოკლედ

წყალბურთი.

ევროპის ჩემპონატზე ხორვატულ სპილტში საქართველოს ნაკრები ისტორიაში მეხუთედ შეხვდა ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან იტალიის გუნდს და მეხუთედ დამარცხდა — 8:18.

დეიან სტანოიევიჩმა ამჯერად ბარალდი და ტყეშელაშვილი დაასვენა, მათ ნაცვლად კი ჯახაია და მაგრაქველიძე ათამაშა, რასაც უთანასწორო ბრძოლის სიუჟეტზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. რაც შეეხება მონტენეგროსთან სასტარტო მატჩის გმირს ელაჩას (5 გოლი), მან „სკუადრა აძურას“ მხოლოდ 1 ბურთი გაუტანა.

მონტენეგრო — სლოვაკეთი 18:10.

სატურნირო მდგომარეობა: იტალია, მონტენეგრო 6-6, საქართველო, სლოვაკეთი — 0 ქულა.

დღეს 12 საათსა და 30 წუთზე „ჯვაროსნები“ ჯგუფური რაუნდის დასკვნით ბრძოლას სლოვაკეთთან გამართავენ და პლეი-ოფში გასასვლელად 1 ქულაც ჰყოფნით.

ფეხბურთი.

სერია — ა-ს მეოთხე ტურში წარუმატებლად ითამაშეს ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა: **ნაპოლი-ლეჩე 1:1.** ლუჩანო სპალეტიმ სიტყვა შეასრულა და რამდენიმე ლიდერი დაასვენა, მათ შორის **ხვიჩა კვარაცხელია,** რომელიც მინდორზე გოლის ავტორ ელმასის ნაცვლად 56-ე წუთზე შეუშვა. ერთ-ერთ ეპიზოდში კვარა ხელსაყრელ პოზიციაში ელოდა პარტნიორის მწვავე გადაცემას, მაგრამ ოსიმენმა ბურთი არ გაატარა და თვითონაც ვერ შეძლო შედეგიანად დარტყმა. სხვათა შორის, სტუმრებმა პენალტი ვერ გამოიყენეს.



ინტერი-კრემონეზე 3:1. მართალია, ლუკაკუ და ლაუტარო მარტინესი ძირითადში არ იყვნენ, მაგრამ ჯეკოს სახით **ლუკა ლოჩოშვილს** მაინც მრისხანე გამომცდელის მეურვეობა მოუწია და ქართველ მცველს არც მილანში შეურცხვენია თავი. სამწუხარო ისაა, რომ შესვენების წინ ბოსნიელმა ვეტერანმა ჩვენს თანამემამულეს იდაყვით თავი გაუტეხა და 68-ე წუთზე სისხლდენის გამო შესაცვლელი გახადა.

უკრაინა. როგორც ცნობილია, უკრაინის ჩემპიონატი ბომბების თანხლებით დაიწყო და რამდენიმე მატჩი შეწყდა ან ჩაიშალა კიდეც.

ამ დღეებში გამოცხადდა ერთ-ერთი ვარიანტი, რომ ცენტრალური შეხვედრა „შახტარსა“ და კიევის „დინამოს“ შორის შესაძლებელია 15 ოქტომბერს ლონდონში გაიმართოს (მე-7 ტური).

არდავიწყება

3 სექტემბერს ცნობილ მოცეკვავეს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს მარინა ზნამენსკაია-გოგიჩაიშვილს 100 წელი შეუსრულდებოდა. გთავაზობთ საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი მოცეკვავის აწგარდაცვლილი ზურაბ კიკალეიშვილის მოგონებას.

მარინა ჩემთვის დიდი ტკივილია

იგი გახლდათ კდემამოსილი, ღირსებით სავსე, სათნო, უღალატო მეგობარი და პროფესიონალი მოცეკვავე, როგორც ხელოვანმა თავი გამოიჩინა ქართული ცეკვების უბადლო შესრულებით, ორიგინალური სტილითა და დასამახსოვრებელი როლებით, როგორც სცენაზე, ასევე კინოშიც.

დიდი გამოხმაურებები ჰქონდა მარინას შემოქმედებას მაშინდელ ქართულ და საკავშირო პრესაშიც. მეტად თბილი წერილი მიუძღვნა გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ" მის ლონდონურ ფესტივალზე საგასტროლო გამოსვლების. კერძოდ, მისმა „ქისტაურმა" დიდი აღიარება მოიპოვა.

მარინა არაჩვეულებრივი მეუღლე და დედა ბრძანდებოდა. იმდენად დიდ დროს უთმობდა ოჯახს, ოჯახურ ტრადიციებს, რომ ხშირად მისი კოლეგა მეგობრები „განაწყენებულიც" რჩებოდნენ ჩვენდამი „უყურადღებობით", მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მეგობრობა იცოდა.

პირადი, უდიდესი ტრაგედიის შემდეგ (მარინას მეუღლემ, ცნობილმა პარტიულმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ გოგიჩაიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა) მარინა ჩაკეტილი გახდა. შინიდანაც არ გამოდიოდა და კოლეგებსაც იშვიათად ხვდებოდა. ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც წყნეთში ავაკითხე, ძალისძალით წამოვიყვანე ჩემთან, თითქოს ხალისიც დაუბრუნდა, ვხვდებოდი, რომ ეს მოჩვენებითი იყო — თვალებში უდიდესი სევდა ედგა, მისი ხალისიანი გამომეტყველება სამუდამოდ გამქრალიყო.

შემდეგ მოხდა ის, რამაც ყველა შეგვზარა, მართლაც გაგვაოგნა მისი უახლოესი მეგობრები — მარინამ უსაყვარლესი მეუღლის მსგავსად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამ უზარმაზარ ტკივილს დღემდე ვატარებ.

ხშირად დავხედავ ფოტოს, რომელიც გადავიღეთ მის გოგონასთან ერთად, მაშინ უბედნიერესი ადამიანი იყო. ეს ფოტოც მეტად თბილი წარწერით მისახსოვრა და დღემდე დიდ ტკივილს და მოგონებებს აღმიძრავს.

ზურაბ კიკალეიშვილი:
ხშირად დავხედავ ფოტოს, რომელიც გადავიღეთ მის გოგონასთან ერთად, მაშინ უბედნიერესი ადამიანი იყო

ზურაბ კიკალეიშვილი,
საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სანთელი

ნუგზარ კახიშვილი, ბაკურ გულუა, ნუკრი გოგიტიძე, მურმან არაბიძე, ალექსანდრე ჩოჩია, კახა არდია, კოტე შენგელია, გია გვაზავა, ბიჭიკო არაზაშვილი, სოსო ჯღლარკავა, რუბენ გახარია, ზურაბ კუტივაძე, გურამ კაკულია, მერაბ კილაძე, ოთარ ჭითანავა, გია კახეთელიძე, შოთა გვასალია, თემურ ჯანაშია იუწყებიან უახლოესი მეგობრის გია ბერაძის დედის უკეთილშობილესი, ღვაწლმოსილი ქალბატონის

ლუიზა კვირკველიას

გარდაცვალებას. სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და უახლოეს ნათესავებს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი „ქართული"

4 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „ქართული" ხსენებას, რომელსაც „პორტაიტისაც" უწოდებენ.

...როდესაც ღვთისმშობლის ხატებს ვუმზერთ გული მოწყალებითა და მადლიერებით გვესება! გამოსახულებებში ნათლად მოჩანს უფლის ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ქართული სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი დაბრძანებულია მოსკოვის მღვდელმთავარ ალექსი მიტროპოლიტის მონასწერში. აღსანიშნავია, რომ ხატის შესახებ არსებობს ცნობა, 1622 წელს, როცა, შაჰ-აბასმა საქართველო ააოხრა, სპარსელებმა ჩვენგან მრავალი წმიდა ნივთი გაიტაცეს, მათ შორის იყო ქართული ხატიც...

ცნობილია, რომ იმჟამად სავაჭრო საქმეთა თაობაზე გაგზავნილმა ლიტკინის დამკვეთმა ლაზარევმა იყიდა ღვთისმშობლის ხატი, თურმე ამ დროს ლიტკინს ეუწყა და ებრძანა, რომ ირანში ნაყიდი ხატი შეეწირა არხანგელსკის ეპარქიისათვის, სადაც ის ამჟამად იმყოფება. აი, რა წერია 1698 წელს დათარიღებულ სიგელში: „ქართული ხატის შემწეობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უწინ და დღესაც, მრავალ სასწაულს და კურნებას აღუსრულებს ყველას, ვინც მას სარწმუნოებით მიმართავს".

გიული ლიპარტია

ქარელში, მთვრალმა, უგუნურმა ექვსი სახლი და ხეხილის ბაღები გადაწვა

საქართველოს პროკურატურამ, ქარელის რაიონში ცეცხლის წაკიდებით საცხოვრებელი სახლების, სათავსოების, ხეხილის ბაღების დაზიანების და განადგურების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 28 აგვისტოს, ქარელის რაიონის სოფელ ელბაქიანთკარში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ნარჩენების განადგურების მიზნით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ცეცხლი დაანთო.

მიუხედავად იმისა, რომ თანასოფლელებმა ხანძრის გაჩენის გამო მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე გააფრთხილეს და ცეცხლის ჩაქრობა სთხოვეს, ცეცხლი არ ჩააქრო და დასახმარებლად მისული მეზობლები სახლიდან გაყარა. ცეცხლი ფართო ტერიტორიაზე გავრცელდა, რის შედეგადაც დაიწვა სოფელ ელბაქიანთკარში მდებარე 300 000 ლარის ღირებულების ექვსი სახლი, დამხმარე სათავსოები და ხეხილის ბაღები. სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილებით(სხვისი ნივთის დაზიანება, განადგურება, ცეცხლის წაკიდებით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დიდ დიღომში მომხდარი აფეთქების შედეგად უცხოელები დაშავდნენ

დიდ დიღომში, ბენდუქიძის დასახლებაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავებული სამი ადამიანიდან ორი დედა და მისი მცირეწლოვანი ბავშვია. ექიმის განცხადებით, დედა-შვილის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან.

„რეანიმაციის განყოფილებაში, 9 საათისთვის, შემოყვანილია ახალგაზრდა ქალბატონი სხეულის კრიტიკული დამწვრობით, სასუნთქი გზების თერმული დაზიანებით, გამოხატული დამწვრობითი შოკით. მკურნალობა რეანიმაციის განყოფილებაში უტარდება. ტრავმა მიეკუთვნება სიცოცხლისთვის საშიშ დაზიანებათა ჯგუფს", — აცხადებს ექიმი რეანიმატოლოგი ქეთევან თარგამაძე.

აფეთქების მიზეზი სავარაუდოდ ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა. მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

გაზეთს რეკლამა ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

რუსთავის წყალმომარაგების კომპანია 50 000 ლარით დაჯარიმდა

სემეკ-ის გადაწყვეტილებით, რუსთავის წყალმომარაგების კომპანია 50 000 ლარით დაჯარიმდა. როგორც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, დავით ნარმანიამ განაცხადა ამავდროულად კომპანიას დაევალა, რომ 19 სექტემბრამდე წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა იმ აუცილებელი საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომელმაც უნდა რუსთავში წყალმომარაგება უნდა გააუმჯობესოს.

„სემეკ-მა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის დაჯარიმების შესახებ. ამავდროულად, დაევალა კომპანიას, რომ 19 სექტემბრამდე წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა იმ აუცილებელი საინვესტიციო პროექტების შესახებ, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს ქალაქ რუსთავში წყალმომარაგება, უნდა შეამციროს ავარიები და სისტემა გახადოს ქმედითი.

გერმანული ჟურნალი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ

საძართველო მოგზაურობის და ბუნების მოყვარულთა ქვეყანაა და ის 2023 წელს ITB Berlin-ის გამოფენის პარტნიორია — ამ სათაურით გერმანული კულინარიული ჟურნალი Gour-Med საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას აქვეყნებს. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

გამოცემის ჟურნალისტმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საინფორმაციო ტურის ფარგლებში, ITB Berlin-ის ხელმძღვანელი პირებისა და სხვადასხვა მედია საშუალებების წარმომადგენლებთან ერთად იმოგზაურა.

სტატიაში ძველი თბილისი, გოგირდის აბანოები და თბილისის დაარსების ისტორიაა აღწერილი. გამოცემის ჟურნალისტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ სამზარეულოს, ღვინოს, ვაზის 8 ათასწლოვან ისტორიას და ქვევრს.

„გურმანებმა იციან, იქ სადაც ღვინოა, გემრიელ კერძებსაც ამზადებენ. ასეთი კი სწორედ საქართველოა. ამ ქვეყანაში ასობით წლის მანძილზე მრავალფეროვანი კერძებით შეიქმნა ქართული კულინარიული კულტურა. საქართველოს რეგიონებში კერძებში არომატულ მცენარეებს იყენებენ, რაც ჩვენთვის უცნობია. რეცეპტები თაობიდან თაობას გადაეცემა და ასე იქმნება კერძები უნიკალური გემოთი“. — წერს Gour-Med-ის ჟურნალისტი.

სტატიაში ITB Berlin-ის პრეს-სპიკერის ჯულია სონემანის ინტერვიუა მოყვანილი, სადაც ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობს.

„საქართველომ მდგრადი ტურიზმის კონცეფციიდან გამომდინარე კონკურსში გაიმარჯვა, ის მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება გამოფენაზე. ITB Berlin იდეალური პლატფორმაა საქართველოს ამბიციური პროექტების განსახორციელებლად საერთაშორისო ტურისტულ არეალზე. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის იმიჯის ამაღლებასა და ცნობადობის გაფართოებას საერთაშორისო მასშტაბით“ — აცხადებს ჯულია სონემანი Gour-Med-თან ინტერვიუში.

ტურისტული ფესტივალი ჭიათურაში

„მოდი ჭიათურის ტურისტულ ფესტივალზე და მოიწყვე დაუვიწყარი თავგადასავალი“ — 16-18 სექტემბერს ჭიათურა ტურისტულ ფესტივალს უმასპინძლებს. ღონისძიება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით იმართება.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ტურისტული ბანაკი, ნაოსნობა, ველოტური, სპელეოტურიზმი; მეკლდეურობა და ვია „ფერატას“ შოუ. ჭიათურის ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება კერძები. ღონისძიებას მუსიკალურად გააფორმებს TAMADA და Loudspeakers. ჭიათურის ტურისტული ფესტივალის გენერალური სპონსორია „ჯორჯიან მანგანეზი“. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია. ფესტივალის პარტნიორია — სვერის სათავგადასავლო ბანაკი.

მსოფლიო რეკორდი გოგრით ცურვაში

აშშ-ში, ნებრასკაში კაცმა მდინარე მისურიზე 61 კილომეტრი გამოშიგნული გოგრით გაცურა. ასეთ თავგადასავალზე წასვლა დუეინ ჰენსენმა, რომლის ჰობიც დიდი გოგრების მოყვანაა, თავისი 60 წლის დაბადების დღის აღსანიშნავად გადაწყვიტა. გოგრა, რომლითაც მან იმოგზაურა 383 კილოგრამს იწონიდა. ჰანსენმა თავის „ხომალდს“ „ბერტა“ დაარქვა.

ჰენსენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც გოგრით ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობის ავტორი. გოგრით ცურვის მოქმედი რეკორდი 2018 წელს დამყარდა და 41 კილომეტრს შეადგენს.

პომიდვრის ომი სამოცდამეთხუთმეტედ

ესპანეთის ქალაქ ბუნოლში, 75-ე ყოველწლიური ფესტივალი — პომიდვრებით ომი — „ლა ტომატინა“ გაიმართა. წელს ფესტივალში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. ისინი ქალაქის ქუჩებში გავიდნენ და ერთმანეთს 130 ტონა გადამწიფებულ პომიდვრებს ესროდნენ.

კორონავირუსის პანდემიის გამო ფესტივალი ბოლო 2 წლის განმავლობაში არ გამართულა. ფესტივალი სათავეს 1945 წლიდან იღებს და ტრადიციულად ყოველი წლის აგვისტოში ტარდება. მას მსოფლიოს მასშტაბით უამრავი მაყურებელი ჰყავს.

წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიის ახალი ლაურეატები

ვარშავის უნივერსიტეტის ჩარტორისკების სასახლეში წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიის მიმნიჭებელმა საბჭომ მორიგი სხდომა გამართა, სადაც წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემიის წლევანდელი ლაურეატები გამოვლინდნენ.

ლაურეატებს შორის არიან: იენის უნივერსიტეტის პროფესორი **ჰაინც ფენრიხი,** ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; ბონის უნივერსიტეტის პროფესორი **ჰ აინცგერდ ბრაკმანი,** აღმოსავლეთის ლიტურგიკული ტექსტების შესწავლის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი,** ლიახვის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლისისთვის.

საბჭოს შემადგენლობაში, რომელმაც წლევანდელი ლაურეატები გამოავლინა, შედიოდნენ: **დავით ყოლბაია** (თავმჯდომარე) ვარშავის უნივერსიტეტი; **ჰენრიკ პაპროცკი,** ვარშავის სასულიერო სემინარია; **ვახტანგ ლიჩელი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **იან მალიცკი,** ვარშავის უნივერსიტეტი; **ბერნარ უტიე,** საფრანგეთის სამეცნიერო აკადემია; **იოსტ გიპერტი,** ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება პარიზში მონაკოს სასახლეში 2022 წლის 19 ნოემბერს წმინდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემია 2010 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით დაწესდა. პრემია უძველესი ქართული ხელოვნების ნიმუშის მარტვილის პანაგიას ასლს წარმოადგენს (X ს.), მარგალიტის თვლებით და მინანქრით მოხატული, ოქროსა და ვერცხლში მოოჭვილი, სადაც წმინდა გრიგოლის ხატია გამოსახული.

საპატიო ოქროს ლომი - კატრინ დენევს

ვენეციის კინოფესტივალის საპატიო ოქროს ლომი, კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის, ლეგენდარულ ფრანგ მსახიობს კატრინ დენევს გადაეცა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კინოფესტივალის დირექტორის ალბერტო ბარბერას წარდგინებით, ვენეციის ბიენალეს საბჭომ მიიღო. 78 წლის მსახიობს საპატიო ჯილდო 31 აგვისტოს, საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნის ცერემონიაზე გადაეცა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.9002; ᲔᲕᲠᲝ - 2.8935
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3697;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.7912; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1594;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7098;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 7.1787.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+40
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10,	ᲓᲦᲔ	+30
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+20,	ᲓᲦᲔ	+38
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+16	ᲓᲦᲔ	+38
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+21,	ᲓᲦᲔ	+39

ᲓᲐᲑᲒᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge